ლელო

№91
(11 137)

19 – 21 ნოემბერი, 1997 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევროპაში ოლიმპიური კლიმატი მყარია

სტოკჰოლმი. აქ გაიმართა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალური ასამბლეის სხდომა და ჩატარდა არჩევნები. კონტინენტის ეოკების პრეზიდენტის პოსტზე კვლავ ბელგიელ ჟაკ როგს გამოუცხადეს ნდობა, თანამდებობა შეინარჩუნა აგრეთვე გენერალურმა მდივანმა იტალიელმა მარიო პესკანტემ. ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს ახალი კადრი – ირლანდიელი პატრიკ ჰიკეი.

გადაწყდა, რომ 2001 წლის ზამთრის და ზაფხულის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები ჩატარდება ფინეთში (ზამთრის) და ესპანეთში (ზაფხულის).

საააგენტო „გუმათე“

დავით კვინიკაძე მომხრეა დიალოგი „ლელოს“ რედაქციაში გაგრძელდეს

გუშინ, დღის მეორე ნახევარში, „ლელოს“ რედაქციას ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე და გვაცნობა, რომ სფფ მხარს უჭერს გაზეთ „ლელოს“ ორივე თაოსნობას, რომელთაგან ერთი ეხება სფფ – სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობის გაგრძელებას „ლელოს“ რედაქციაში და მეორე – წყალთა სახეობების ფედერაციის მსგავსად სპორტის ცალკეულ სახეობებში ღია დიალოგის გამართვას ჟურნალისტების მონაწილეობით.

ჩვენ მზად ვართ, თქვენთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს გეწვიოთ რედაქციაში – დასძინა საუბრის დასასრულს დ. კვინიკაძემ.

FRANCE 98
COUPE DU MONDE

საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დასასრულს მიუახლოვდა. ფინალური ციკლის 32 საგზურიდან ვაკანტური ერთილაა. გასული დღეების მთავარი მოვლენა იტალია-რუსეთის მატჩი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ნეაპოლში გამომგზავრების წინ მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა წარმატების შემთხვევაში თითოეულ რუს ფეხბურთელს არნახული ჯილდო დაუწესა (უკანასკნელი მარკის ავტომობილი „მერსედესი“ და 60 ათასი დოლარი), ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საფრანგეთს მიღმა დარჩა. რუსების იმედები პიერლუიჯი კაზირაგის ერთადერთმა გოლმა დაასამარა.

იხ. მე-5 გვ.

პიერლუიჯი კაზირაგი

ღია დიალოგი „ლელოს“ რედაქციაში

ყველამ ის მაინც გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია

„ლელო“ ათეული წლებია ემსახურება ქართულ სპორტს და მის ეროვნულ ინტერესებს. კურსი გაზეთს არ შეუცვლია და არც შეიცვლის. ცხადია, ქვეყანაში სტაბილურობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების კვალდაკვალ გაზეთი უფრო გააფართოვებს საქმიანობის დიაპაზონს. ახლა კი, ვფიქრობთ, დადგა დრო, სპეციალისტებთან ერთად მივუბრუნდეთ სპორტის ცალკეულ სახეობებს, განვსაჯოთ რა შეიძლება შემობრუნდეს სასიკეთოდ და როგორ. ვფიქრობთ საზოგადოებრივი აზრის ანგარიშგაწევის ჟამიც დადგა.

„ლელომ“ ამ გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგა, როცა გასულ შაბათს, რედაქციაში სპორტის წყალთა სახეობების (ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, სინქრონული ცურვა) სასაუბროდ შესაბამისი ფედერაციის ხელმძღვანელები პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი, ვიცე-პრეზიდენტი თემურ ხვედელიძე და გენერალური მდივანი გივი ცქიტიშვილი მოიწვია. მათ კი თავის მხრივ, შეხვედრაზე ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სხვა წარმომადგენელთა დასწრების სურვილი გამოთქვეს.

ჩვენ შეგვეძლო ამომწურავად გაგვეშუქებინა რა ითქვა და რაზე გამახვილდა ყურადღება ამ შეხვედრაზე და ერთი პუბლიკაციით მოგვეხადა ვალი. მაგრამ ეს სულაც არ იქნებოდა ვალის მოხდა. ვალი საქმეა, საქმე – შედეგი! ამიტომ ის, რაც ითქვა „ლელოს“ ფურცლებზე, მანამ „იცოცხლებს“, ვიდრე ან კონკრეტულ შედეგებამდე არ მივალთ, ან ქართული სპორტის გამწირავთა ზუსტ მისამართებს არ დავადგენთ. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, სად და ვისი მიზეზით შევა (თუ ეს მოხდა) ღრმა ჩიხში სპორტის ამა თუ იმ სახეობის ტრადიციები.

იმდღევანდელი ღია დიალოგიდან „ლელოს“ დღევანდელ ნომერში წინა პლანზე წამოვწევთ საცურაო აუზებისა და ცურვის მასობრივი შესწავლისათვის ბუნებრივი შესაძლებლობების (ზღვის სანაპირო, ტბები, წყალსაცავები, მდინარეები) გამოყენების საკითხს. ამას კომუნისტურ ცხოვრებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და ახლა მისი უგულებელყოფა, თუ ასე გაგრძელდა, ცურვის უცოდინარ თაობებს მოგვიმრავლებს. ცურვის არცოდნას კი ძველი ბერძნები წერა-კითხვის უცოდინარობას ადარებდნენ და იტყოდნენ: „ცოდვაა ის კაცი, არც ცურვა იცის, არც წერა-კითხვაო“.

დავიწყებთ საცურაო აუზების პრობლემით. დღეს მათი რიცხვი ჩვენს ქვეყანაში 140-მდეა. მათგან კი ისეთთა რაოდენობა, რომლებიც მხოლოდ ზაფხულობით მუშაობს, ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლება. ეს კატასტროფაა. ისიც ნათქვამია: ცურვა მეორე სიცოცხლეა ადამიანისთვისო. გვაქვს კი უფლება წავართვათ იგი ჩვენს მომავალს? ცხადია, არა.

თბილისი ყველაფერში მისაბაძია ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებისა და რეგიონებისთვის. ამიტომ სწორედ დედაქალაქმა უნდა მისცეს ყველას მაგალითი თუ როგორ ვიხსნათ, როგორ გადავარჩინოთ საცურაო აუზები – დიდებიც და პატარებიც. კვლავ როგორ ჩავაყენოთ ისინი ადამიანების კეთილდღეობის სამსახურში. ცხოვრების იმ სისტემით, რომლითაც ჩვენ მივდივართ, ღია დიალოგისას გამოიკვეთა ორი გზა:

პირველი. ესაა მცირე ზომა-მოცულობის აუზები გაიცეს იჯარით ან იჯარა-გამოსყიდვის უფლებით. მეორე – დიდი (მათ შორის კომპლექსური) აუზების აქციების საკონტროლო პაკეტი დარჩეს მუნიციპალური ხელისუფლების ხელში და გაილოს სახსრები მათ ასამუშავებლად.

„ლელო“ გამოვიდა წინადადებით აღნიშნულ საკითხებზე გაიმართოს მსჯელობა თბილისის მერიაში, რასაც მხარი დაუჭირეს გ. გოიაშვილმა და თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ.

მსტენდურობა
მსოფლიო ჩემპიონატი

ტყვია ასცდა... ბრინჯაოს მედალს

ჩვენს სახელგანთქმულ მსტენდურს, ვეტერან სპორტსმენს თამაზ იმნაიშვილს პერუს დედაქალაქ ლიმადან შინ შეძლო მსოფლიო ჩემპიონატში მრგვალ სტენდზე სროლაში მოპოვებული მედლით დაბრუნებულიყო, მაგრამ სტენდის მასპინძელთან მესამე ადგილისთვის სადავო, დამატებით პაექრობაში, ერთი ტყვია მიზანს ააცილა და IV ადგილს დასჯერდა. ჩემპიონი გახდა კუვეიტელი ალ რაშიდ აბდულა, მეორე იყო იტალიელი ანდრე ბინელი.

ძიუდო
ევროპის ჩემპიონატი

ფირუზ ტყეშელაშვილი

გია გუგავა – ჩემპიონი, ჩემპიონის შეგირდი

როგორც „ლელო“ იუწყებოდა, ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირად ჩემპიონატზე ჩვენი სპორტსმენების გამგზავრების სახსრები გამოინახა და გუნდი ლუბლიანაში უფროსი მწვრთნელის ჯემალ ნათელაშვილის ხელმძღვანელობით გაემგზავრა, რითაც დასრულდა ოთხწლიანი შინიდან გაუსვლელობის ხანა.

ჩვენებიდან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გია გუგავამ, რომლის ბოლოდროინდელი წარმატებები კარგადაა ცნობილი სპორტის ამ სახეობის გულშემატკივრებისთვის. გიამ ტრიუმფით განვლო რთული გზა პირველი შეხვედრიდან საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე და ევროპის ჩემპიონი გახდა (მწვრთნელები ბერდია გუგავა, ამირან კელიხაშვილი). მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ფირუზ ტყეშელაშვილი.

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი
XIV ტური

დინამო (თბილისი) — მორკინალი (თბილისი) 0-0
მერანი (თბილისი) — მაღაროელი (ჭიათურა) 1-0
მარგვეთი (ზესტაფონი) — ლოკომოტივი (თბილისი) 0-1
ოდიში (ზუგდიდი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 1-0
მეტალურგი (რუსთავი) — სამგურალი (წყალტუბო) 2-0
დილა (გორი) — გურია (ლანჩხუთი) 2-1
ტორპედო (ქუთაისი) — სიონი (ბოლნისი) 1-0
დინამო (ბათუმი) — კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-0

გამოტოვებული მატჩი:
დინამო (თბილისი) — ოდიში (ზუგდიდი) 4-0

ბოლო ტურის წინ:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბ.)	12	10	2	0	36-4	32 (-4)
ოდიში	14	10	1	2	23-15	31 (-11)
დინამო (ბთ.)	13	8	4	1	29-10	28 (-11)
უნივერსიტეტი	14	7	3	4	21-11	24 (-18)
კოლხეთი-1913	14	6	3	5	26-15	21 (-21)
ლოკომოტივი	14	5	4	5	16-22	19 (-23)
დილა	14	6	1	7	15-21	19 (-23)
მერანი-91	14	7	2	5	20-16	18 (-24)
ტორპედო	13	4	6	3	18-16	18 (-21)
მორკინალი	14	4	6	4	15-13	18 (-24)
მეტალურგი	13	5	0	8	15-20	15 (-24)
სამგურალი	14	4	2	8	17-30	14 (-28)
მაღაროელი	14	3	2	9	12-31	11 (-31)
გურია	14	2	4	8	14-30	10 (-32)
სიონი	13	3	5	5	17-17	9 (-30)
მარგვეთი	14	1	3	10	11-34	6 (-36)

შენიშვნა: „სიონსა“ და „მერანი-91“-ს ჩამოკლებული აქვთ 5-5 ქულა.

ფრაგმენტი მატჩიდან თბილისის „დინამო“ – „ოდიში“
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დინამო (თბილისი) – ოდიში 4-0

დინამო: ჭანტურია, კალაძე, ჯელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, ჩიხრაძე, კიკნაძე (გელაძე, 54), ალექსიძე (ჩხაიძე, 75), გოგიჩაიშვილი (გოგიბერიშვილი, 80) მუჯირი, ხომერიკი.
ოდიში: სოლოღაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ანჯაფარიძე, ტყემალაძე, ებრალიძე, ჩადუნელი (ივერიანი, 46), ენდელაძე, კაიდარაშვილი, რევაზიშვილი, კალანდაძე.
გოლი: ხომერიკი (32, 71), მუჯირი (44,79). **გააფრთხილეს:** ჩიხრაძე.
მსაჯი: თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

ლიდერთა „დუელში“ დინამომ მორიგი იოლი გამარჯვება მოიპოვა, ზუგდიდელებმა კი დიდად ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი.

მასპინძლებმა დებიუტშივე დიდი ძალებით შეუტიეს. თამაში ფაქტობრივად ცალკარას მოგვაგონებდა — თბილისელები ზედიზედ ქმნიდნენ საგოლე მომენტებს, მაგრამ ხომერიკი, ალექსიძე და მუჯირი არაზუსტად აგვირგვინებდნენ დინამოელთა მასიერებულ შეტევებს, რაშიაც მოკრძალებული წვლილი სტუმართა მეკარესაც შეჰქონდა. სანამ ხომერიკი ანგარიშს გახსნიდა, მანამდეც ჰქონდა ორი რეალური საგოლე მომენტი, მაგრამ ჯერ სოლოღაშვილთან პირისპირ გასულმა ააცილა კარს, შემდეგ კი ოდიშის მეკარემ გამოიჩინა თავი, როცა მეტოქე გუნდის ფორვარდის მიერ 6-7 მეტრიდან დარტყმული ბურთი მოიგერია.

დინამოელთა დაწინაურება კი ხომერიკმა გოგიჩაიშვილის ფლანგური გარღვევის შედეგად მოახერხა — მეკარის მოედანზე ბურთის გაჩერებაც დასცალდა და მისი კარში გაგზავნაც. მეორე გოლიც ხომერიკის მონაწილეობით გავიდა, როცა მის დარტყმულ ბურთს, რომელიც სოლოღაშვილმა მოიგერია, მუჯირმა მიუსწრო.

მეორე ტაიმში ზუგდიდელებმა თამაშის შემობრუნება ვერ შეძლეს, თუმცა კი ბურთს უფრო მეტხანს ფლობდნენ, ვიდრე პირველ ნახევარში. მათ რიგებში მხოლოდ ახვლედიანსა და კალანდაძეს თუ გამოარჩევდა კაცი. დინამოს თავი დიდად აღარ გამოუდვია, მაგრამ მათი შეტევები რამაზ სოლოღაშვილს მოსვენებას არ აძლევდა. მესამე გოლი გოგიჩაიშვილი-ჩხაიძე-ცქიტიშვილი-ხომერიკის, ხოლო მეოთხე: ხომერიკი-კალაძე-მუჯირის კომბინაციების შედეგად გავიდა. მუჯირსა და ხომერიკს ჰეთ-თრიკების შესრულებაც შეეძლოთ, მაგრამ ხან სოლოღაშვილი არ ანებებდა, ხან კი თვით ფორვარდები სცოდავდნენ. მატჩის მიწურულს ზუგდიდელებს პრესტიჟის გოლის გატანა შეეძლოთ, როცა საჯარიმოში შეჭრილი ანჯაფარიძე დიდავამ მოცელა და თამაზ ლაცაბიძემაც 11-მეტრიანზე მიუთითა. მაგრამ გელა ჭანტურიამ ყოფილ თანაგუნდელებს არც პრესტიჟის გოლი დაანება და კალანდაძის დარტყმული კუთხურზე მოიგერია.

ასე, რომ ცენტრალური მატჩი ფაქტობრივად ვერ შედგა.

დათო თავართქილაძე

საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია ღრმა თანაგრძნობას უცხადებს ამავე ფედერაციის წევრს ოთარ მაზმიშვილს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოში სპორტულ მოძრაობას სახელმწიფოსთან ერთად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კომერციული სტრუქტურების, თითოეული ჩვენგანის თანადგომა ესაჭიროება

ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

იმედით, თუ იგი უსასრულოა, ნელი სიკვდილით კვდება,

პრობლემები, რაც ჩვენს კალათბურთშია, ყველაზე მკაფიოდ აისახება ეროვნულ ნაკრებში. თუმცა იგი „ძველია, არახალია"... ეროვნული გუნდის თავკაცმა ბესიკ ლიპარტელიანმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს სასიკეთო ნაბიჯები გადაიდგმება

როგორც ცნობილია, საქართველოს ნაკრები 26 ნოემბერს ევროპის 1999 წლის 1-შესარჩევ მატჩში ჩეხეთის ძლიერ ნაკრებს მიიღებს. შემდეგ თურქეთში მატჩს ჩაატარებს ადგილობრივ ნაკრებთან, 3 დეკემბერს კი თბილისში შვედებს უმასპინძლებს. დამეთანხმებით, იოლი შეხვედრები ჩვენს ნაკრებს ნამდვილად არ ელის. სწორედ ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელიანმა ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა.

— დღესდღეობით ნაკრების ის კალათბურთელები, რომლებიც ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობენ, კარგა ხანია ვარჯიშობენ ფიზიკურ მომზადებაში და ტექნიკის დახვეწაში. ესენი არიან: აბრამიძე, ვაშაკიძე, სანაძე, გოგობერიშვილი, ხოშტარია, ტალაბაძე, ტურაშვილი, ბექანიშვილი.

რაც შეეხება ლეგიონერებს, ისინი 20 ნოემბრისთვის ჩამოვლენ. ნაცვლიშვილი, როგორც ცნობილია, ბულგარეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდშია და ყოველ თამაშში საშუალოდ 25-28 ქულას აგროვებს, რა თქმა უნდა, მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ, ისე როგორც სლოვენიის „ლიუბლიანაში" მოასპარეზე სტეფანიაზე, რომელიც ევროპაში 34-ე კალათბურთელად დაასახელეს. დავით ბერძენიშვილს, რაც შეეხება, იგი სლოვაკეთშია, თამაშს მოუმატა და მისი იმედიც გვაქვს. რეზო ჩხეიძემ სულ ახლახანს ისრაელის II დივიზიონის ერთ-ერთ კლუბთან მოაწერა ხელი კონტრაქტს და ისიც გამოძახებულია.

რაც შეეხება ტრავმირებულ კალათბურთელებს — დიდი დანაკლისია ის, რომ ქარაბაკი, რომელიც ფინეთში თამაშობს, ჯერჯერობით გაურკვეველი დროით ჩამოშორდა კალათბურთს. მას მუხლის ტრავმა აწუხებს. მცირე ტრავმა აქვს სანაძეს, თუმცა სერიოზული არაფერია. რაც შეეხება უსტიაშვილს — მან ზაფხულში ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ ტრავმა ისევ გაუმიზეზდა და ამჯერად მისი მოწვევა მიზანშეწონილად არ ჩავთვალე. არ გამოვიძახე აგრეთვე ლენინგრადის „სპარტაკში" მოასპარეზე შენგელია. გუნდში ცენტრალური თავდამსხმელის მელნიკის მოსვლით მისთვის ხუთეულში ადგილი აღარაა.

გამთამაშებლის პოზიციაზე ყველაზე მეტი სირთულეები შეგვექმნა. უსტიაშვილი ტრავმირებულია, თორთლაძე და ქლენტი ფორმაში არ არიან, ამ მისიას ან აბრამიძეს დავაკისრებ, ან ტურაშვილს. ლევან ქარაბაკის არყოფნაში, დაცვაშიც დიდი სირთულეები გვექმნება, მაგრამ გუნდი ფარ-ხმალს არ დაჰყრის და ძირითადად აქცენტს პირველი ხაზის მოთამაშეებზე გადავიტანთ.

ახალგაზრდა პერსპექტიული ბოისა გამოძახებული იყო, მაგრამ სულ ახლახანს სლოვენიაში გაფრინდა, მისი შეძენით სტეფანიას გუნდია დაინტერესებული და საკითხი ერთ თვეში გადაწყდება. სწორედ ამ ხნის განმავლობაში დარჩება იგი გასასინჯად სლოვენიაში. მაისურაძესაც ვაკვირდებით, აშკარა პროგრესი შეინიშნება მის თამაშში, მაგრამ უკანასკნელ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მას იანვრისთვის გამოვიძახებთ.

— მართალია, წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატი უფრო დაძაბულად მიმდინარეობს, სანახაობრივად საინტერესოა, გამოიკვეთა ის რამდენიმე გუნდი, რომლებიც იბრძოლებენ მედლებისათვის, მაგრამ ნაკრების კალათბურთელების წასვლით ჩემპიონატის დონე აშკარად დაეცა. მე პირადად წინააღმდეგი ვარ, რომ 25 წლამდე სპორტსმენი უცხოეთში სათამაშოდ მიდიოდეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოსთხოვო დარჩენა, თუ პირობები იქნება ნორმალური, ჩვენთან კი მინიმალურზე ლაპარაკიც ზედმეტია. მართალია, შეიცვალა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და დახმარების იმედს გვაძლევენ. წამყვან კალათბურთელებს თვეში 60 ლარი აქვთ ხელფასი. ფინანსურ გასაჭირს ემატება ცხელი წყლის, გათბობის პრობლემები, სპორტის სასახლის იატაკიც მოძველდა, შეცვლა ესაჭიროება, ისევე როგორც ფარებს, თუმცა სპორტის დეპარტამენტმა უკვე შეუკვეთა ფარები და დღე-დღეზე ველოდებით ახალს.

— რაც შეეხება ამ შესარჩევ ციკლს, ბიჭებმა წინა წლებთან შედარებით მეტი სათამაშო პრაქტიკა გაიარეს. ზოგიერთი მათგანი ევროპის სხვადასხვა ჩემპიონატში ასპარეზობს და მათი გამოცდილება დიდად შემჩნევა გუნდს. ჩეხეთის ნაკრებზე ჩვენ ძალიან მცირე ინფორმაციას ვფლობთ. ვიცით ის, რომ მათი კალათბურთელები ტანმაღლები არიან. ჩვენ, ალბათ თამაშის სწრაფ, შემტევ სტილს დავუპირისპირებთ. მართალია, შარშან ჩეხებს შევხვდით კვიპროსში გამართულ ტურნირზე და 8 ქულით დავმარცხდით სტეფანიას არყოფნაში, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს და შინ ჩატარებულ შეხვედრებში მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ თუ გვინდა კარგ შედეგებზე ფიქრი. რაც შეეხება თურქეთის ნაკრებს, მას მხოლოდ წელს გამართულ ევროპის ჩემპიონატიდან ვიცნობთ, ევროპის თასზე „ვითა" კი ეთამაშა თურქეთის ერთ-ერთ გუნდს, მაგრამ იქიდან ნაკრებში მხოლოდ ორი კალათბურთელია. შვეციის ნაკრების ორი წლის წინანდელი თამაშების ვიდეოფირს სტეფანია ჩამოიტანს და ეს მცირედით მაინც დაგვეხმარება მათი თამაშის სტილის დადგენაში.

P.S. რაც შეეხება 26 ნოემბრის შეხვედრას, იგი სპორტის სასახლეში ჩატარდება და ბილეთი 1-დან 5 ლარამდე ეღირება.

გოგა ლომიძე

გოჯუ-რიუ ხაშურში

რკინიგზის ხაშურის სამმართველოს ხელმძღვანელებმა (უფროსი ვ. ჯაფარაშვილი, მთავარი ინჟინერი ვ. ხომერიკი) თავიანთ კულტურის სახლში გოჯურიუ კარატეში რკინიგზელთა ღია ჩემპიონატი ჩაატარეს და ეს ასპარეზობა ნამდვილ სპორტულ დღესასწაულად აქციეს. მონაწილეები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან შეიკრიბნენ. წალენჯიხელებს, მაგალითად, ქალაქის მერი გ. ხარჩილავა თავად ამეცადინებს და ახლა მისი ხელმძღვანელებით გამოცხადდნენ საასპარეზოდ.

ამ ღონისძიებამ ხაშურში სპორტული ტრადიციების აღდგენის სანიმუშო მაგალითი მისცა ადგილობრივ სპორტულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს: **8-10 წ.:** 1. ლაშა მიქავა, 2. სულიკო ჯანიაშვილი, 3. ჯაბა ხარჩილავა; **11-12 წ.** 1. ავთანდილ ხოზრევანიძე, 2. შოთა თავაძე, 3. ირაკლი ლემონჯავა; **13-14 წ.** 1. თემურ ჯიქია, 2. გოგა სამუშია, 3. თემურ ქირია; **15-17 წ.** 1. მამუკა დავითაძე, 2. მამუკა ბერიძე, 3. თემურ მიქავა.

მ. ლაბაძე, ხაშური, „ლელოს" საკ. კორ.

ლუკა იოაკიმიდის სახელი და ღვაწლი არ დაიკარგება

დასრულდა ქალაქ თბილისისა და წარსულში ცურვის გამოჩენილი სპეციალისტის ლუკა იოაკიმიდის ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშება. „ლაგუნა – ვერეს" საწყლოსნო კომპლექსში შეჯიბრებაში ჩაებნენ 1980-86 წლებში დაბადებული მოზარდები.

საუკეთესო წარმატებას მიაღწია ვახტანგ ბერიძემ, რომელმაც გაიმარჯვა ოთხჭიდში და ორივე თასიც მან დაისაკუთრა.

ვახტანგ ბერიძე 16 წლისაა, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრია, ავარჯიშებს ამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ირინა მინჟულინა.

შარშან თურქეთში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ვახტანგი 8 უძლიერესთა საფინალო გაცურვაში მოხვდა. წლეულს კი ბალკანეთის თამაშებში მეხუთე იყო. ეს მოცურავე, სხვა გამარჯვებულები და პრიზიორები, ქალაქის სპორტის სამმართველომ (თავმჯდომარე ვ. კანკავა) ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

ლ. იოაკიმიდის ხსოვნის თასი ტრადიციულად გათამაშდება.

ნინო ვაშაკიძე

სუპერთასი – ახალსოფლელებს

როგორც ვიუწყებოდით, ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციამ ჩაატარა ზუგდიდის მერიის 1997 წლის ჩემპიონატი და თასის გათამაშება. ჩემპიონი გახდა ჭითაწყარის საკრებულოს გუნდი (მწვრთნელი რამაზ მესხი), თასი კი ახალსოფლის საკრებულოს გუნდმა მოიპოვა (მწვრთნელი კარლო ჭოჭუა). სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს სუპერთასზე. თამაშებს სჯიდნენ ფიფას არბიტრი სერგო კვარაცხელია, ეროვნული კატეგორიის მსაჯები გიორგი კალანდია და ავთანდილ ჭედიშვილი. მატჩის ვერც ძირითადმა, ვერც დამატებითმა დრომ ვერ გამოავლინა გამარჯვებული. დაინიშნა პენალტების სერია. ანგარიშით 3-2 გაიმარჯვა ახალსოფლის საკრებულოს გუნდმა, რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი.

დააფასეთ ისე, როგორც აფასებენ ხონში...

ხალხს წესად აქვს ღვაწლით გამორჩეულთა ღირსეული დაფასება. სწორედ ასეთი პატივი მიაგეს ამ დღეებში ხონის რაიონში სპორტის ორ ამაგდარ მუშაკს დამსახურებულ მწვრთნელებს ალექსანდრე ყუფარაძეს და ტარიელ ჯაფარიძეს. ახლა მათ საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდებაც მიენიჭათ და სწორედ ეს მოვლენა აღინიშნა საზეიმოდ რაიონის სპორტსკოლის დარბაზში. ზეიმზე ხალხთან ერთად იყვნენ და ღვაწლმოსილ ადამიანებს მიესალმნენ მეუფე საბა, რაიონის გამგებელი ოთარ ქავზიანიძე, ქალაქის მერი ოთარ ჯაფარიძე, აღმზრდელთა ყოფილი შეგირდები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ალექსანდრე ყუფარაძე და ტარიელ ჯაფარიძე ხონის რაიონის სპორტის სათავეებთან იდგნენ და აკი დაუფასდათ კიდეც ათწლეულების მანძილზე გაწეული გარჯა.

„ლელოს" საკ. კორ., ხონი

გმადლობთ, პროფესორო!

თანამედროვე ხიზამბარელები

მწერალ გიორგი შატბერაშვილის ნაწარმოებში – „მკვდრის მზე" (საფალავნო ქვა) დიდებულადაა აღწერილი ნოსტელი მოჯილდავის ხიზამბარელის ამბავი. როგორც ჩანს დღესაც არიან თანამედროვე ხიზამბარელებიც... „აკაკის ბაღი" („დინამოს" სტადიონთან) ამ ბოლო დროს სპორტული ასპარეზობის არენად იქცა. ახლაც უამრავი ხალხი მიაწყდა ამ ბაღში მოწყობილ უჩვეულო ასპარეზობას.

ათლეტთა შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა: მსუბუქი ავტომანქანის გათრევა 40 მეტრზე, მორების (4 მორი) გადატანა და დაწყობა უზარმაზარ კუნძზე, წონელა შტანგის აჭიმვა და ქართული ხალხური ჭიდაობა (საჯილდაო ლოდის აწევა).

შეჯიბრება მოაწყო ფირმა „თეთრმა ქალაქმა", სავაჭრო ცენტრმა „კიდობანმა" და შპს „თეთრი ქალაქი-3". ასპარეზობის მოთავე და სულის ჩამდგმელი იყო ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლიციის პოლკოვნიკი ანზორ გაბიანი.

მაყურებელმა დიდებული სანახაობა იხილა. ათლეტთა პაექრობამ გამოავლინა გამარჯვებულები. „მძლეთამძლე-97" გახდა 23 წლის თბილისელი ათლეტი ზურაბ ნებიერიძე, რომელმაც ოთხი სახეობიდან სამში პირველობა მოიპოვა. წოლჭიმში კი გაიმარჯვა 41 წლის სიღნაღელმა ათლეტმა, 1993 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა და რეკორდსმენმა შოთა ბეჟაშვილმა (222,5 კგ).

ზურაბ ნებიერიძემ 40 მეტრზე ავტომანქანის გათრევას 20 წამი მოანდომა, 4 მორის გადატანას (7 მეტრზე) 32 წამი. ხოლო 160-კილოგრამიანი საჯილდაო ლოდი მეოთხე ცდაზე მკერდამდე აიცურა. მანამდე კი ჯილდაობის ორი საფეხური დაძლია – პირველ ცდაზე „ქარი გაატარა", ანუ დაძრა მიწის პირიდან ლოდი, მეორე ცდაზე მუხლებამდე აიტანა და როგორც ვთქვით, მეოთხე ცდაზე საჯილდაო (საფალავნო) ლოდი დაიმორჩილა და მკერდამდე ააცურა. ზურაბს უზარმაზარი თასი და ფულადი ჯილდო გადაეცა.

ათლეტთა ამგვარი ასპარეზობა ამიერიდან ტრადიციული გახდება და მის პროგრამაში მუდმივად იქნება – ჯილდაობა.

გაბრიელ ბარჯაძე

სკოლას ახსოვს თავისი ჩემპიონი

არმენ ბურდიანცი თბილისში, დიდომის მასივში დაიბადა და დავაჟკაცდა. იქვე, თბილისის განათლების კომპლექსურ სპორტსკოლაში ეზიარა კრივს, 1989 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა იუნიორთა შორის. საოცარი დამთხვევაა, ჩემპიონატში არმენმა, გიორგი კანდელაკის მსგავსად ზემძიმე წონაში გაიმარჯვა და ფინალშიც კუბელს სძლია.

ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ნიჭიერი მოკრივის გასახსენებლად იმავე სპორტსკოლის რინგზე, სადაც არმენ ბურდიანცი აღიზარდა, 12 წონით კატეგორიაში გაიმართა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. რჩეულთა შორის საუკეთესო ტექნიკოსთვის დაჯილდოვდნენ ლევან ცინცაძე, ივანე სილვაში, ლევან წიკლაური, მთავარი ჯილდო – არმენ ბურდიანცის სახელობის პრიზი კი ამავე სპორტსკოლის აღსაზრდელმა გიორგი მგელაძემ მოიპოვა.

სურათზე: ასეთი იყო არმენ ბურდიანცი

სამბისტები ვანში იკრიბებიან...

სამბომ მკვიდრად მოიკიდა ფეხი ვანში, რასაც ხელს ისიც უწყობს, რომ ახალგაზრდები შეჯიბრებას დანატრებულნი აღარ არიან. ამ დღეებში აქ გაიმართა სპორტის ოსტატ მევლუდ აბრამიძის პრიზის გათამაშება, რომელშიაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან მიწვეული გუნდებიც მონაწილეობდნენ – სულ 9 გუნდის 150 სამბისტი გამოვიდა არენაზე (1983-85 და 1981-82 წლებში დაბადებულნი). გაგაცნობთ გამარჯვებულებს.

უმცროსი ასაკი: დიმიტრი პავლიაშვილი (28 კგ, მცხეთა, „დინამო"), გიგა ტყეშელაშვილი (30), გიგლა გაბუნია (32, ორივე – ვანი, ორივე – „მართვე"), გელა სანიკიძე (35), თემურ ცინცაძე (38, ორივე – ქუთაისი, ორივე – „მართვე", შალვა ცუდოშვილი (41, თბილისი, „შევარდენი"), ნიკოლოზ ცუცქირიძე (44, ქუთაისი, „მართვე"), ჯაჯი ზვიადაური (47, თბილისი, „შევარდენი"), მირიან ყალაგაშვილი (50, მცხეთა, „დინამო"), გოდერძი ხანთაძე (53, ვანი „მართვე"), ბონდო ოდიშვილი (56, თბილისი, შევარდენი"), მიხეილ გორგოშია (61, ხობი, „დინამო"), იოსებ ჯელაძე (65, ხაშური „შევარდენი"), გიორგი ღვინიაშვილი (71, მცხეთა, „დინამო"), სოსო ნინიაშვილი (მძიმე წონა, ხაშური, „შევარდენი").

უფროსი ასაკი: ლაშა დვალიშვილი (45, ვანი, „შევარდენი"), გიორგი სომხიშვილი (49, თბილისი, „შევარდენი"), მერაბ ლაგვილავა (52, ხობი, „დინამო"), თემურ მეფარიძე (56, ქუთაისი, „ლოკომოტივი"), თამაზ მეფარიძე (60, ქუთაისი, „მართვე"), დათო ფილიაური (65, თბილისი, „შევარდენი"), გიორგი ნოზაძე (70), მალხაზ ნოზაძე (75, ორივე – ხაშური, ორივე – „შევარდენი"), ალეკო ნიკოლეიშვილი (81, ქუთაისი, „მართვე"), ზურაბ კულუხაშვილი (87, თბილისი, „მართვე"), იოსებ ქანთარია (მძიმე წონა, თბილისი, „შევარდენი").

ტურნირი ორგანიზებულად მაღალ დონეზე ჩატარდა, რაშიაც დიდია ვანის რაიონში სამბოს უფროსი მწვრთნელის შალვა გაბუნიას და მთავარი მსაჯის გივი სარდანაძის (ქუთაისი) დამსახურება.

ვალერი როხვაძე,
ვანი, „ლელოს" საკ. კორ.

ფანიაშვილი არავის მოუხსნია

გავრცელდა ხმები იმის თაობაზეც, რომ თანამდებობიდან გადააყენეს სფფ-ის საინსპექტორო მუშაობის განყოფილების უფროსი თემურ ფანიაშვილი. ეს ცნობაც გუშინ გადაჭრით უარყო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ. „ფანიაშვილი ფედერაციაში მუშაობას აგრძელებს, იგი არავის მოუხსნია" — თქვა მან.

ქართული ფეხბურთის ამბები

ნოდარ ანდრიაძე: „სტადიონის რეკონსტრუქცია გაგრძელდება"

თბილისში ხმა დაირხა თითქოს სპორტის დეპარტამენტთან უსიამოვნო ამბების გამო, უეფამ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაფინანსება შეაჩერა. [illegible]

ვიცე-პრეზიდენტ ნოდარ ანდრიაძეს მივმართეთ. მან გაიკვირვა — ასეთი ამბავი სინამდვილეს არ შეეფერება. პირიქით, ამ დღეებში უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბიუროს პასუხისმგებელ მუშაკს სოკოლოვს ფაქსი გამოუგზავნია — რა თანხა გჭირდებათ სტადიონის განათების სისტემის შესაცვლელადო. ასე რომ, „სტადიონის რეკონსტრუქცია კვლავ გაგრძელდება" — [illegible]

წიტაიშვილიც წავიდა

თბილისის „დინამოსა" და ზუგდიდის „ოდიშის" მატჩში ვერ ვიხილეთ სტუმართა გუნდის წამყვანი მოთამაშე, 19 წლის თავდამსხმელი კლიმენტი წიტაიშვილი. მიზეზის დასადგენად „ოდიშის" მთავარ მწვრთნელ ბადრი თუთბერიძეს მივმართეთ. მან გვითხრა, რომ წიტაიშვილი ამჟამად ისრაელშია და იქაურ ერთ-ერთ კლუბში ისინჯება.

შეგახსენებთ, მანამდე სამეგრელოს კლუბი კიდევ რამდენიმე პერსპექტიულმა ფეხბურთელმა დატოვა და პოლონეთს გაემგზავრა. სხვა კლუბებისა არ იყოს, თუ ასეთი ტემპებით გაგრძელდა საზღვარგარეთ პერსპექტიული ფეხბურთელების გადინება, ზუგდიდის გუნდი პირველ ჯგუფში „ნორჩი ოდიშელით" ითამაშებს.

მურთაზ შელიამ შრომის ვიზა მიიღო

გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველს, ვლადიკავკაზის „ალანიიდან" წამოსულ მურთაზ შელიას, როგორც იქნა, ინგლისის შრომის სამინისტროს ოფიციალური დოკუმენტი მოუვიდა — მას ნება დართეს კარიერა „მანჩესტერ სიტიში" გააგრძელოს. მურთაზი ამ დღეებში ბრიტანეთს გაემგზავრება.

33 წლის წინათ...

დაუვიწყარი მატჩი ტაშკენტში: „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)

საოცარია პირდაპირ: რაც დრო გადის 1964 წლის 18 ნოემბრის იმ დაუვიწყარი დღიდან, ქართული ფეხბურთის მოყვარულებს თითქოს უფრო ეზრდებათ ინტერესი ტაშკენტის „ოქროს“ მატჩისადმი, პირველი ჩემპიონობა რომ მოუტანა თბილისის „დინამოს“ ქართული ფეხბურთის ისტორიაში. ძველი გულშემატკივრები თითქოს კვლავ განიცდიან იმ 120-წუთიანი ისტორიული პაექრობის პერიპეტიებს, ხოლო ახალგაზრდები გაოცებას და სიამაყეს ვერ ფარავენ ჩვენი თეთრ-ცისფერთა გუნდის მესამე თაობის ტყავის ბურთის დიდოსტატებისადმი, ასე ბრწყინვალედ რომ წარმოგვიდგინეს მოსკოვის „ტორპედოსთან“ უკომპრომისო ასპარეზობაში დიდებული საფეხბურთო სპექტაკლი იმ განუმეორებელ ოთხშაბათს, 63- ათასიან ტაშკენტის „ფახთაქორის“ სტადიონზე.

ამ მატჩის შესახებ იმდენი რამაა დაწერილი (მათ შორის ჩვენს მიერაც), რომ აქ საჭიროდ არ მივაჩნია შევჩერდეთ ნიუანსებზე. გავიხსენებთ მხოლოდ გატანილ გოლებს. პირველ ტაიმში, როგორც ცნობილია, ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ მეტოქეთა ახალგაზრდა მარცხენა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვლადიმერ შჩერბაკოვმა მოახერხა ჩვენს კარში ბურთის გატანა (56-ე წუთზე), მაგრამ ილია დათუნაშვილმა ზედიზედ ორი გოლით უპასუხა (ჯერ 72-ე წუთზე), მერე კი დამატებითი დროის დასაწყისში (92-ე წუთზე) 2-1. ამის შემდეგ მიხეილ მესხმა (105-ე წუთზე) და სლავა მეტრეველმა (106-ე წუთზე პენალტით) საბოლოო გამარჯვება მოუტანეს ქართული ფეხბურთის უპირველეს გუნდს — 4-1.

დღეს გვინდა ვისაუბროთ ტაშკენტის ორთაბრძოლის ნაკლებად ცნობილ, თამაშისაგან ერთობ განყენებულ ამბებზე.

... ჩვენს წინ მატჩის ფერადი პროგრამა დევს. „დასაწყისი საღამოს 6 საათზე“ — დასტამბულია გარეკანზე. არ დაიჯეროთ! თამაში ბარე ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო, რამაც, ცხადია, კიდევ უფრო მოგვიმატა გულშემატკივრებს ისედაც მოზღვავებული მღელვარება. საქმე ისაა, რომ მატჩზე საპატიო სტუმარს ელოდნენ — თვით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს! მართლაცდა, „ფახთაქორის“ სტადიონის თავზე დამახასიათებელი გუგუნით გადაუარა სპეცდანიშნულების ლაინერმა, ცხადია, საჰაერო ესკორტის თანხლებით. ტრიბუნებზე მჯდომებმა ვიფიქრეთ, ახლა კი ნამდვილად მალე დაიწყება თამაში! გაგიგონია? „გენსეკი“ თურმე სულაც არ აპირებდა დიდ ფეხბურთზე მოსვლას. მაღალი სტუმარი უზბეკეთის კომპარტიის 40 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე ჩამოფრენილა. ეჰ, თბილისში დარჩენილი რამდენი ქართველი გულშემატკივარი ინატრებდა იმ დღეს ტაშკენტში ყოფნას. ამაზე იტყვიან სწორედ: „ფლავი ვისა აქვს და იშტა კი ვისაო?“

ისე კი, მატჩზე მართლაც „მთელი“ საქართველო ჩამოვიდა. თბილისსა და ტაშკენტს შორის ნამდვილი „საჰაერო ხიდი გაიდო“. იმ დღეს ყველა სანუკვარ საფეხბურთო ბილეთზე ფიქრობდა. ტაშკენტის ერთ-ერთ გაზეთში სახუმარო დეპეშა წავიკითხე: „Готовьте билеты! Летим Гиви, Гоги, Вахо, Вано и... Шота Руставели!“ აკი ჩვენი გუნდის გამარჯვების შემდეგ ყოველკვირეულ „ფუტბოლში“ ცნობილი მოსკოველი მხატვრის იგორ მასინას (წარმოშობით თბილისელის) მხიარული კარიკატურა დაიბეჭდა — ცეკვავს მოზეიმე თბილისი, აცეკვდა თავის კვარცხლბეკზე „ვეფხისტყაოსნის“ გახარებული ავტორიც. გახსენებაზე: მინდა შევჩერდე აქ ერთ საგულისხმო რეპლიკაზე, რომელიც იმავე „ფუტბოლში“ დაიბეჭდა 22 ნოემბრის ნომერში სათაურით „უტაქტობა“. აი, რაზე იყო მასში საუბარი: გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცში“ 19 ნოემბერს დაიბეჭდა წერილი „ქართული ფეხბურთის ოქროს დღე“, რომლის ავტორი იყო ვინმე ვ. ემელიანოვი. იგი წერდა, რომ საქართველოში, რა თქმა უნდა, „შეისმება სადღესასწაულო სადღეგრძელოები“, აშიშხინდება დაცვარული მწვადები, გაჩაღდება ცეკვათამაში. რა-რა და დღესასწაულები ეხერხებათ მტკვრის სანაპიროზე“. ავტორის აზრით, ზეიმი აქ ნაკლები მასშტაბითა და ენთუზიაზმით როდი ჩაივლის, ვიდრე ეს „პელესა და გარინჩას თანამემამულეებმა გააკეთეს“. სხვათა შორის, ვ. ემელიანოვი ფაქტებსაც ამახინჯებს, როდესაც წერს, რომ „ვ. ბარქაიამ მწყობრიდან გამოიყვანა მოსკოველთა იმედი ვ. ივანოვი. დაბოლოს: ჩემპიონი გახადა გუნდიო, რომელიც უფრო ძლიერი იყო მხოლოდ ერთ თამაშში — 18 ნოემბერს“. ეტყობა, ვ. ემელიანოვს ავიწყდებოდა, რომ თბილისელებმა ტორპედოელებს საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრეშიც მოუგეს 3-1, ხოლო პირველ წრეში ფრედ ითამაშეს — 1-1. მართლაც მეტი ტაქტი მოეთხოვებოდა ავტორსაც და გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცსაც!“


საბჭოთა კავშირის 1964 წლის ჩემპიონი თბილისის „დინამო“. დგანან (მარცხნიდან) გ. კაჩალინი, ბ. სიჭინავა, გ. ცხოვრებოვი, ვ. რეხვიაშვილი, გ. სიჭინავა, ჯ. ზეინკლიშვილი, ა. ღოღობერიძე, მ. ხურცილავა, შ. იამანიძე, ს. მეტრეველი, ა. კოტრიკაძე. (სხედან) მ. მესხი, ნ. ლეჟავა, გ. პეტრიაშვილი, ვ. ბარქაია, ა. აფშევი, ს. კოტრიკაძე, ე. ხუციშვილი, ი. დათუნაშვილი.

მატჩის დღეს ქალაქის მთავარ სასტუმროს „ტაშკენტის“ (იგი მთლიანად ქართველ გულშემატკივრებს გვეკავა) წინ თანამემამულეთა ტევა არ იყო. გულშემატკივართა დიდი ჯგუფი შემოხვეოდა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს გიორგი სიხარულიძეს — ყველას ერთი კითხვა აწუხებდა: მოვიგებთ? ვიღაცამ გაუბედავად იკითხა, თუ როგორი იქნება მსაჯობა? ვფიქრობ, რუბენისი კარგად იმსაჯებს, წესიერი კაცია! — იყო პასუხი. იქვე იდგნენ ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის წევრები. ცნობილი საფეხბურთო მეცენატები მიხეილ ლაზიშვილი და ირაკლი ნემსაძე. სწორედ ბატონმა ირაკლიმ გადმომცა სტადიონის ბილეთი — საუკეთესო ადგილი, რადგან პრესის ლოჟა „ფახთაქორზე“ იმხანად არ იყო. მიხეილ ლაზიშვილმა იქვე დასძინა, რომ ფედერაციამ იგი ამ დღეებში სპეციალურად მიავლინა რიგაში. მან ახლოს გაიცნო ტაშკენტის მატჩის სამივე არბიტრი — რუბენისი, სტრენცისი და ტიტარენკო, კმაყოფილი დარჩა მათი ადამიანობით, პატიოსნებით და... გარანტიაც მიიღო, რომ მათ მხრივ, ცხადია, არანაირი მიკერძოება არ მოხდება და ჩვეულებისამებრ ობიექტურად წარმართავენ ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩს.

ვღელავდით, ძალიან ვღელავდით გულშემატკივრები. წარმომიდგენია, რა მდგომარეობაში იყვნენ ჩვენი დინამოელები? მატჩის დღეს მათთვის გამოყოფილ სპორტულ ბაზაზე ქალაქგარეთ... უცებ ჩოკინაზე ამხედრებულმა ჯემალ ზეინკლიშვილმა შემოალაჯა. ნეტავ სად იშოვა ეს დიდყურა ჩვენმა „სვისტუნამ“, ანდა, რა დაუჯდა მისი ყიდვა? ერთი კი ფაქტია: ჩოკინამ და მისმა „მხედარმა“ დიდი მხიარულება გამოიწვია ჩვენს ფეხბურთელებში და საგრძნობლად განმუხტა მატჩისწინა მღელვარება.

სტადიონზე კარგა ხნით ადრე გავეშურეთ — ცნობილ გულშემატკივარ, ისტორიკოს დურმიშხან ცინცაძესთან (დღეს იგი უნივერსიტეტის დოცენტია), გაზეთ „თბილისის“ თანამშრომელ ოთარ (რიჩა) გაგუასთან და გალაკტიონ მახარაძესთან (გაზეთ „სოფლის ცხოვრებიდან“) ერთად. გზად ორმეტრიანი გიგანტი ქალი შემოგვხვდა. მაშინვე ვიცანი — ტაშკენტელი რაილია სალიმოვა, ქვეყნის კალათბურთელთა ნაკრების სახელგანთქმული ცენტრი. არ დავაყოვნე და გაკვირვებულ „გულივერს“ ჯერ ჩემი ფოტოაპარატი დავუმიზნე, მერე კი სახელდახელო ინტერვიუ (დღეს რომ „ექსპრეს-ინტერვიუს“ ეტყვიან) ჩამოვართვი. „ლელოს“ მაშინდელმა რედაქტორმა მიხეილ კაკაბაძემ იგი ფოტოფირთან ერთად მეორე დილასვე “გამოაფრინა“ თბილისში, მასალა სურათითურთ ოპერატიულად მოხვდა ჩვენი გაზეთის მესამე გვერდზე:

— რაილია, ვინ გაიმარჯვებს დღეს?

— ქართველები!

— იქნებ ანგარიშიც იცით წინასწარ?

— 2-0!

მეორე დღეს უზომოდ გახარებულნი ქალაქის ქუჩებში ვსეირნობდით. საქმე ისაა, რომ ოთხი დღის შემდეგ — კვირას, 22 ნოემბერს, იქვე ტაშკენტში, ქუთაისის „ტორპედოს“ უნდა ეთამაშა გორკის „ვოლგასთან“ უმაღლეს ჯგუფში დასარჩენი მატჩი (აქვე ვიტყვით, რომ ქუთაისელებმა მოიგეს 4-2, ბურთები გაიტანეს ხერხაძემ, ხაჟალიამ და ჩხარტიშვილმა — 2) და ჩვენც გადავწყვიტეთ ამ მატჩზეც დარჩენა.

საინტერესოა, რომ მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა: ქუთაისელთა მატჩი გაიმართა მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ კაპიტნებმა შოთა იამანიძემ და ვალერი ვორონინმა „ფახთაქორის“ სტადიონზე... ოფიციალურად დაუშვეს XXVI ჩემპიონატის ალამი! უნდა გენახათ, რა დაცარიელებული იყო ახლა სასტუმრო „ტაშკენტი“ — ყველანი გაფრენილან თბილისს. ქუჩაში გამოსულებს ცნობილი მოსკოველი სპორტული ჟურნალისტი, „ფუტბოლის“ მომავალი რედაქტორი ლევ ფილატოვი შეგვხვდა. გამარჯვება მოგვილოცა გულითადად, მერე ტაშკენტზე ჩამოგვიგდო სიტყვა: როგორ, თქვენ ჯერ არ ყოფილხართ აქაურ ბაზარში? ესე იგი ტაშკენტი არ გინახავთ!“ ცხადია, დაუყოვნებლივ მივაშურეთ ბაზარს. იქნებ გახსოვთ ძველი კინოფილმი „ბაღდადელი ქურდი“ და იქ გადაღებული აღმოსავლური ბაზარი? აი, ზუსტად ისეთი რამ ვნახეთ ტაშკენტში. საზამთროს, ნესვის მთები, ხურმისა და ყურძნის თვალუწვდენელი სამყარო... და ჩაიხანები ყოველ ნაბიჯზე. ტაშკენტში ჩვეულებისამებრ საგაზეთო ჯიხური არ დამიტოვებია „აუთვისებელი“, ყველა გაზეთი შევიძინე იმ დღეებში. ერთ-ერთ ჯიხურში მომხიბლავი ახალგაზრდა გამყიდველი ქალი იჯდა. გალაქტიონ მახარაძემ ხუმრობით ჩემი თავი სლავა მეტრეველად წარუდგინა. მოულოდნელობისაგან ქალს თვალები გაუფართოვდა: „ა-ა—ა, გუშინ პენალტი რომ გაიტანა?!“ გული ვიჯერეთ სიცილით. რომ გავეცალეთ იქაურობას, გალაკტიონს საყვედური ვუთხარი: „რაღა მეტრეველს ეუბნებოდი ჩემზე, განა არ იცი, ბარქაიას „ბალელშჩიკი“ რომ ვარ!“ მიპასუხა: „ასე უფრო ეფექტური გამოვიდა — ბოლოს და ბოლოს სიომას გუშინ ბურთი არ გაუტანია!“

ტაშკენტის „ოქროს“ მატჩის მსაჯები ჰუგო სტრენცისი, მიქელის რუბენისი , მატვეი ტიტარენკო და ქართველი გულშემატკივრის მიერ ციტრუსებით „დახუნძლული“ თბილისელ დინამოელთა კაპიტანი შოთა იამანიძე „ფახთაქორის“ სტადიონზე 1964 წლის 18 ნოემბრის მატჩის დაწყების წინ.

მატჩის ფრაგმენტი

ფოტოები ავტორის არქივიდან.

ქუთაისის „ტორპედოს“ ვარჯიშზე გავეშურეთ — მწვრთნელთან ***ილია ლომჯანიძესთან*** და გუნდის კაპიტან იუზა ლოსაბერიძესთან საუბარს ვაპირებდი, მაგრამ მოულოდნელად მინდვრის კუთხეში... მიხაილ იაკუშინის წარმოსადეგი ფიგურა დავინახე — ეტყობოდა მინდორს ამოწმებდა. გადავკოცნეთ ერთმანეთი, მე მას მივულოცე გამარჯვება (მიპასუხა: „А я здесь при чем?!“), მან კი მე (“Молодцы, ничего не скажешь!“). როდესაც ვუთხარი, რომ ამაში მისი დიდი წვლილიც იყო (გუნდი იმ სეზონისათვის ხომ მ. იაკუშინის მიერ იყო მომზადებული — გახსოვთ, გათამაშების სტარტზე 5 მატჩი რომ მოვიგეთ და მხოლოდ ერთი შეხვედრა ვითამაშეთ ფრედ — 11 ქულა 12 შესაძლებლიდან), შევატყვე, ესიამოვნა და ასე მიპასუხა: „Спасибо, спасибо!“ მ. იაკუშინი ჩვენს მატჩს არ დასწრებია. მხოლოდ მეორე დღეს ჩამოფრინდა ტაშკენტში, ადგილობრივ გუნდთან იწყებდა მუშაობას („Вот приехал... принимать „Пахтакор“!).

... ტაშკენტის „ოქროს“ მატჩიდან მთელი 25 წელიწადი იყო გასული, როდესაც რიგიდან თბილისში ჩამოვიდა ქართველ გულშემატკივართათვის კარგად ცნობილი არბიტრი მიქელის რუბენისი. ეს იყო მიხეილ მესხის სახელობის საერთაშორისო ტურნირის დღეები. მ. რუბენისს სასტუმრო „აჭარის“ ნომერში შევხვდით. კარგა ხანს ვისაუბრეთ. ვფიქრობთ მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ამ საუბრის მოკლე ჩანაწერი.

ტაშკენტში საქართველოს დელეგაციის „მთავარი შტაბის“ უფროსი, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელი გიორგი სიხარულიძე ფეხბურთის გულშემატკივართა გარემოცვაში. მისგან მარცხნივ — მიხეილ ლაზიშვილი.

— ტაშკენტის იმ დაუვიწყარი მატჩის დღეებში 31 წელიწადი შემისრულდა. ხუგო სტრენცისი (იგი მაშინ რიგის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორი გახლდათ) ჩემზე ოთხი წლით უფროსი იყო, ხოლო მატვეი ტიტარენკო (მუშაობდა რიგის გემთშემკეთებელ ქარხანაში) მთელი ცხრა წლით. ორივე გვერდით მსაჯს იმხანად რესპუბლიკური კატეგორია ჰქონდა. მე პროფესიით სპორტული ჟურნალისტი ვარ, რიგის გაზეთ „სპორტსში“ ვმუშაობდი ფეხბურთის განყოფილებაში. „დინამოსა“ და „ტორპედოს“ გადამწყვეტი მატჩისათვის მსაჯად ასახელებდნენ ბაქოელ ტოფიკ ბახრამოვს ან ერთ-ერთ არბიტრს ბალტიისპირეთიდან, უპირველესად ვილნიუსელ კესტუტის ანძიულისს. თამაშამდე ერთი კვირით ადრე საკდესმა გაავრცელა ცნობა, რომ მატჩის მსაჯად ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ მე დამამტკიცა. უზბეკეთში ორი დღით ადრე ჩავფრინდით, სასტუმრო „ტაშკენტში“ მოგვათავსეს მეოთხე სართულზე ცალცალკე ნომერში, გვერდით ფედერაციიდან ანდრეი სტაროსტინს გამოუყვეს ოთახი. იგი მეორე დღესვე შეგვეკითხა, „ხომ არავინ გაწუხებთო? იცოდეთ, ძალიან ძნელი მატჩი იქნება, მაგრამ ამასთან ძალზე საინტერესო და დაძაბულიო. აბა თქვენ იცით, როგორ გაართმევთ თავს!“ აღსანიშნავია, რომ იმ სეზონში მე უკვე მქონდა ჩატარებული თბილისის „დინამოს“ ხუთი მატჩი, „ტორპედოსი“ კი, მგონი, ერთით ნაკლები. ასე რომ, ორივე გუნდის მოთამაშეებს, მათ ხელწერას, საკმაოდ კარგად ვიცნობდი. იმ დღეებში მსაჯები ვცდილობდით ნაკლებად გამოვსულიყავით გარეთ, რათა აბეზარ გულშემატკივრებს არ შევეწუხებინეთ გაუთავებელი შეკითხვებით. თამაშის დღეს ჩემთან ნომერში შემოვიდა ლეგენდარული რადიოკომენტატორი ვადიმ სინიავსკი (სწორედ მაშინ გავიცანი იგი ახლოს), მთხოვა, რომ მატჩი თეთრი ბურთით ჩაგვეტარებინა — ასე უფრო კარგად ჩანს შებინდებისასო, მით უმეტეს, რომ თამაში საღამოს იწყებოდა. იქვე მაცნობა, რომ პირველი ტაიმის რეპორტაჟი მან უნდა წაიყვანოს, მეორესი კი კოლია ოზეროვმა. შევპირდი, რომ აუცილებლად თეთრი ბურთით ვითამაშებდით — უნგრული ფირმა „არტექსის“ ბურთით. სხვათა შორის, თამაშის შემდეგ ბურთი თქვენი გუნდის მასაჟისტმა ნიკოლოზ მუზაშვილმა გაიტაცა, ალბათ, ბრაზილიური კოლეგის ამერიგოს მიბაძვით, მე კი... „ოქროს“ მატჩის სასტვენი დამრჩა. რაც შეეხება თავად თამაშს, ვფიქრობ, მისი მსაჯობა ურიგო არ იყო, რბილად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე წარიმართა. გამოგიტყდებით, დაახლოებით 72-ე წუთამდე მეგონა, რომ ტორპედოელები გაიმარჯვებდნენ, იმიტომ რომ გაშვებული გოლის შემდეგ დინამოელებს აღარ გამოსდიოდათ ჩვეული თამაში, აი მოსკოველებმა კი უმატეს იერიშებს. მაგრამ როდესაც ივანოვმა დატოვა მოედანი, გავიფიქრე, მის გარეშე „ტორპედოს“ გაუჭირდება-მეთქი. თბილისელებმა კრიტიკულ სიტუაციაში დიდი ნებისყოფა და შემართება გამოიჩინეს. მას შემდეგ, რაც დათუნაშვილმა წარმატებით „ჩაახვია“ ბურთი კუთხურიდან, თქვენს გუნდს მართლაც მეორე სუნთქვა გაეხსნა. ისე კი ხშირად მეკითხებიან 11-მეტრიანის შესახებ, რომელიც მოსკოველთა კარში დავნიშნე. ზოგიერთი სპეციალისტი მსაყვედურობს, თუ როგორ დავნიშნე იგი, როდესაც ასე შორს ვიყავი ბურთიდან და ხეირიანად, ალბათ, არც კი ვხედავდი მას. იმ მომენტში მე უფრო ახლოს ბურთთან ყოფნა არ შემეძლო არც ფიზიკურად, არც პრაქტიკულად. იამანიძეს ტრავმა მიაყენეს გვერდით ხაზთან, დაახლოებით მოედნის შუაში. თბილისელთა კაპიტანს სისხლი სდიოდა სახედან და მე მისკენ გავემართე უმალ, მაგრამ შოთა უცებ წამოხტა ფეხზე და ბურთი მესხს მიაწოდა დაუყოვნებლივ. მიშა ჩვეული ოსტატობით გაიჭრა წინ, სახიფათოდ ჩააწოდა საჯარიმოში, აქ ბურთი ტორპედოელთა მცველ სარაევისკენ მიდიოდა, მაგრამ მან მოულოდნელად იდაყვით მიიღო იგი და შეაჩერა კიდეც. სწორედ ამ დროს ჩავბერე სასტვენში. მაშინვე გავიგონე ჩემი თანაშემწის ტიტარენკოს ხმაც — „პენდელ“! ამ დროს, მოგეხსენებათ, ანგარიში 3-1 იყო. რომ ყოფილიყო ვთქვათ 0-0, შეიძლება არც დამესტვინა. თამაშის შემდეგ, უკვე სასტუმროში, ანდრეი სტაროსტინმა დელიკატურად შენიშნა, განა აუცილებელი იყოო ასეთი პენალტის დანიშვნა, ანგარიში 3-1 ხომ ჯერ საბოლოო გამარჯვებას არ ნიშნავდა? მე დიპლომატიურად დუმილი ვარჩიე... დუმილი დუმილად, მაგრამ იმ დღის შემდეგ თქვენს მონამორჩილს — საკავშირო კატეგორიის არბიტრს მიქელის რუბენისს ასეთი მნიშვნელოვანი მატჩები აღარ უმსაჯია.

ოთარ ნოზაძე

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი XIV ტური

„მორკინალი“ აღარ ხუმრობს

დინამო (თბილისი) – მორკინალი (თბილისი) 0-0

დინამო: ჭანტურია, კალაძე, ჭელაძე, დიდავა, ჩიხრაძე, გოგობერიშვილი (ცქიტიშვილი), კიკნაძე, ალექსიძე, გოგიჩაიშვილი, მუჯირი, ხომერიკი.
მორკინალი: გვარამაძე, ამბიძე, კევლიშვილი, ვაშაკიძე, ასპინძელაშვილი, ცომაია, მაისურაძე (ნადირაძე), დვალიშვილი, პეტრიაშვილი (კაჭარავა), ჭუმბურიძე, ლაპიაშვილი.
გააფრთხილეს: პეტრიაშვილი.
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

„მორკინალს“ ამ შეხვედრაში რამდენიმე ძირითადი ფეხბურთელი აკლდა. მათ შორის ზაზა ზირაქიშვილიც, რომელიც ამ შეხვედრამდე, ორიოდე დღის წინ ავტოავარიაში მოჰყვა. „მორკინალის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ შეუშინდა მეტოქეს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, დინამოელთა მოგებაც სათუო იყო, მათ ხომ თასის შეხვედრაში დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე და მოგებაში დარწმუნებულები გამოვიდნენ მინდორზე, მაგრამ მეტისმეტმა თავდაჯერებულობამ, მეტოქის ძალების არასრულფასოვნად შეფასებამ ორი ქულა დააკარგვინა.

შეხვედრა მშვიდად დაიწყო. „დინამომ“ ცენტრი იგდო ხელთ და ნელ-ნელა მისი სრული უპირატესობა გამოიკვეთა. მაგრამ მოწინააღმდეგის კართან რეალურს ვერაფერს ქმნიდა. მეტოქის დაცვა უშეცდომოდ მოქმედებდა, მეკარე გვარამაძე კი იმ დღეს მხოლოდ ქებას იმსახურებდა. „მორკინალი“ კონტრშეტევებით პასუხობდა, მაგრამ თავდასხმის ხაზში აშკარად ეტყობოდა გოგოლაძე — გორაშვილის არყოფნა. პირველი ნახევარი ისე დამთავრდა, არც ერთ კართან გოლის გატანის რეალური მომენტი არ შექმნილა.

შესვენების შემდეგ უფრო სწრაფ ტემპში წარიმართა თამაში. „დინამო“ ისევ განაგრძობდა შეტევას. მოწინააღმდეგე გუნდი კი მშვიდად იგერიებდა და კონტრშეტევითაც პასუხობდა. მასპინძლები ძირითადად ფლანგებიდან შედიოდნენ მეტოქის საჯარიმოში. განსაკუთრებით გოგიჩაიშვილი გამოირჩეოდა, რომლის რეიდები მარჯვენა ფლანგზე შეუჩერებელი იყო, მაგრამ რად გინდა. დამაგვირგვინებელ სტადიაში ჩემპიონატის ლიდერი არაზუსტად მოქმედებდა. ხომერიკს სტუმართა სტოპერმა ვაშაკიძემ, რომ იტყვიან, ფეხი არ გაანძრევინა, „მეორე სართულზე“ ბრძოლაშიც ტოლი არ დაუდო. „დინამოს“ ნომინალური მეორე თავდამსხმელი მუჯირი ბევრს ატარებდა ბურთს. ცდილობდა ერთდროულად ოთხი მცველის მოტყუებას, რაც, ცხადია, არ გამოსდიოდა. შეიძლება ითქვას, მეორე ტაიმში სტუმრებს გოლის გატანის უფრო რეალური მომენტები ჰქონდათ, ვიდრე „დინამოს“. ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა ჰქონდა შეცვლაზე გამოსულ კაჭარავას, იგი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, მოატყუა მცველი და კარგადაც დაარტყა, მაგრამ ჭანტურია ადგილზე დახვდა ბურთს. ბოლო ათ წუთში ჩემპიონმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და მთელი გუნდით შეტევაზე გადავიდა, მაგრამ სტუმრები აუღელვებლად მოქმედებდნენ და ამ დღეს უნაკლოდ მოთამაშე დაცვის ხაზმა არც ამ „შტურმის“ მონაკვეთში დაუშვა შეცდომა და შეხვედრის დასასრულს „მორკინალის“ ფეხბურთელები მაყურებელმა ტაშით გააცილა.

გოგა ლომიძე

ისევ შერმადინი და... სამი ქულა

მერანი-91 — მალაროელი (ჭიათურა) 1-0

მერანი: გვენცაძე, დანელია, გოგიტაძე, სიდამონიძე, ჭინჭარაული, ჯიშკარიანი, ინიაშვილი, ცქიფურიშვილი, ბაბულაიძე (ბერაია, 80), გოდერძიშვილი, დავითაშვილი.
მალაროელი: გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ასანიძე, გაბრიჭიძე, სტეფანაძე, მენაბდიშვილი, ბუიშვილი, სამხარაძე, კავთელაძე, მწყურაშვილი.
გოლი: დანელია (82).
გააფრთხილეს: ცქიფურიშვილი.
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

ტრანსპორტელთა გუნდისთვის ქულების მოპოვება ყოველ თამაშში დიდ პრობლემას წარმოადგენს — „მერანს“ სეზონის განმავლობაში გზადაგზა აკლდება წამყვანი მოთამაშეები და მატჩისთვის მხოლოდ 14 მოთამაშის ამარაღა რჩება-ხოლმე. ჭიათურელებიც პრობლემის წინაშე დგანან — ისინი ხომ სახიფათო ზონაში იმყოფებიან და არც ფინანსურად ულხინთ. თუმცა, კონკრეტულად ამ მატჩისთვის „მალაროელი“ მართლაც სათანადოდ მობილიზებულად გამოიყურებოდა. მათი დაცვა ერთობ ორგანიზებულად ირჯებოდა, ხოლო თუ მერანელები ბზარს აღმოაჩენდნენ, მაშინ გველესიანი თამაშობდა თავგანწირვით. ერთხელ კი „მალაროელის“ კარი ზედა ძელმა იხსნა, როცა დანელიამ პირველ ტაიმში ცაციათი „გაისროლა“ საჯარიმო მოედნის კუთხიდან. შემდეგ ჯიშკარიანსა და გოდერძიშვილსაც მიეცათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ მათი გარჯა ამაო გამოდგა.

მეორე ტაიმში მერანელები გაორკეცებული შემართებით ეკვეთნენ მეტოქეს. მათი თავკაცი ჯონი ჯანელიძეც ერთობ ექსპანსიური გახდა და ლამის ყველა მოქმედებას კარნახობდა თავის ფეხბურთელებს, რომლებმაც პირველ ტაიმთან შედარებით კიდევ უფრო მეტი სახიფათო მომენტების შექმნა მოახერხეს, მაგრამ გოლი არადა არ ჩანდა. სტუმრები ყრუ დაცვას არ შემოიფარგლნენ, მინდვრის შუაგულშიც გაафთრებით იბრძოდნენ და თავს ორ-სამ ეშელონად იცავდნენ. მერანელებს ამ მატჩში თითქმის № რაოდენობის კუთხურის ჩამოწოდება მოუხდათ, საჰაერო ბრძოლებში კარგად გამოიყურებოდნენ, მაგრამ გველესიანს მაინც ვერაფერს უხერხებდნენ, რის გამოც ჭიათურელები ნანატრი ქულის მოპოვებას სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ. თუმცა შერმადინ დანელია ასე არ ფიქრობდა და „სიონი“ — „მერანის“ მატჩის დარად (როცა მან ბოლო წამებზე ანგარიში გაათანაბრა) კვლავ მხსნელად მოევლინა თავის გუნდს — ისარგებლა ჭიათურელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით, მყისვე გაგზავნა ბურთი „მალაროელის“ კარში. ამის შემდეგ „მერანს“ კვლავ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ „სინათლეზე“ მისულთ მხოლოდ ერთი გოლის ხილვა გვაკმარეს.

დათო თავართქილაძე

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

დილა (გორი) – გურია (ლანჩხუთი) 2-1

დილა: მდივანი, ხ. გაგნიძე, ჯ. გაგნიძე, ლომიძე, წკრიალაშვილი (მინდიაშვილი), მარეხაშვილი, ციცქიშვილი (თაყაძე), მარდიშვილი, ხაჭაპურიძე, შატაკიშვილი.
გურია: გოგუა (ვარდანიძე), ღურწკაია (ბაბუნაშვილი), კვეკვესკირი, ლორია, ჯაშიაშვილი, თიბილაშვილი, ჭელიძე, პატარიძე (ქიქავა), ჩხეტია, ბერიძე, ბულუხია.
გოლები: 1-0, 2-0 მარეხაშვილი (4,54), 2-1 ბულუხია (75)
გააფრთხილეს: ბულუხია, შატაკიშვილი
მსაჯი: თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი)

დინამო (ბათუმი) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-0

დინამო: ტოგონიძე, კანტიძე (აფხაზავა), მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი (ფუტკარაძე), მაჭუტაძე, ჩუხუა, ღლონტი.
კოლხეთი-1913: მ. გვასალია, მიქაბერიძე (ბაჩილავა), ქუნთელია, გიორგაძე, გოროზია, ღაღანიძე, ამაშუკელი, ტორჩინავა, ე.გვასალია, ქუტიძე, ქობულაძე (წივწივაძე)
გააფრთხილეს: ქუნთელია, თორღაშვილი
მსაჯი: თამაზ ლაცაბიძე (სურამი)

მარგვეთი (ზესტაფონი) – ლოკომოტივი (თბილისი) 0-1

მარგვეთი: ნიქაბერიძე, გოგაძე, ქვანია, კაკაბაძე, დონღაძე, კაციაშვილი, სულაკაძე, მალაღურაძე, ფოცხვერაშვილი, ხელაძე, შავგულიძე (ფოფხაძე).
ლოკომოტივი: ვოლკოვი, ქვარცხავა, ბაქრაძე, ბარნოვი, ქველაძე, ჟორჟიკაშვილი (ცოტაძე), მ. კვეტენაძე, ზ. არჩვაძე, დაუშვილი, გამცემლიძე (ერაძე), გვაზავა.
გოლი: გვაზავა (55)
მსაჯი: ელგუჯა სილაგავა (თბილისი)

ტორპედო (ქუთაისი) – სიონი (ბოლნისი) 1-0

ტორპედო: ასლანაძე, ხვადაგიანი, თურმანიძე, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, შ. ხუჯაძე, კ. კვეტენაძე, ქებაძე (შენგელია), ჩხეტიანი, მ. მეგრელაძე, იონანიძე (მეტრეველი)
სიონი: ჩლაიძე, ჩომახიძე, ყაველაშვილი, ყიფშიძე, წიკლაური, ტრაპაიძე, ხოსროშვილი (მოსეშვილი), შაკიაშვილი, ისიანი (ჭანკვეტაძე), ტყავაძე, ტარტარაშვილი.
გოლი: გ. მეგრელაძე (44)
გააფრთხილეს: შეყრილაძე, ტყავაძე
მსაჯი: სოსო კახიანი (თბილისი)

მეტალურგი (რუსთავი) – სამგურალი (წყალტუბო) 2-0

მეტალურგი: ქორიძე, მჭედლიძე, ბექაური, კედელაშვილი, მიშველიძე, ზირაქაძე, მელაძე, არსოშვილი, მინდიაშვილი, დ. გოგოლაძე (ლაბაძე), კ. ალადაშვილი
სამგურალი: ბობოხიძე, ქობულაძე, ჭელიძე, კოღუაშვილი, ჯანელიძე, ძაგნიძე, გიორგობიანი, ხუხიაშვილი, გელაშვილი (დარსაძე), ხურცილავა (ქუთათელაძე), კ. ჯანაშია (თევდორაძე)
გოლები: მელაძე (22), გოგოლაძე (64)
გააფრთხილეს: მინდიაშვილი, კედელაშვილი
მსაჯი: შოთა ხანიაშვილი (თბილისი)

II ჯგუფი ● XV ტური

შსს აკადემია (თბილისი) — სამეგრელო (ჩხოროწყუ) 5-0, კოლხეთი (ხობი) — სქური (წალენჯიხა) 3-2, საპოვნელა (თერჯოლა) — ასკ (თბილისი) 2-5, თორი (ბორჯომი) — მერცხალი (ოზურგეთი) 3-0, ფაზისი (ფოთი) — ცხინვალი 1-0, იბერია (ქარელი) — მეშახტე (ტყიბული) 4-2, იმერეთი (ხონი) — ივერია (ხაშური) 0-4, კოდაკო (თბილისი) — ჯუბა (სამტრედია) 0-3.

გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (თბილისი)	15	13	2	0	52-10	41
ივერია (ხაშური)	15	11	2	2	46-15	35
ჯუბა (სამტრედია)	15	10	3	2	34-15	33
კოლხეთი (ხობი)	15	9	2	4	31-23	29
შსს აკადემია (თბ.)	15	8	4	3	38-18	28
ცხინვალი	15	9	0	6	38-23	27
თორი (ბორჯომი)	15	8	3	4	36-19	27
მერცხალი (ოზურგეთი)	15	8	1	6	29-27	25
სქური (წალენჯიხა)	15	8	1	6	27-34	25
ფაზისი (ფოთი)	15	6	1	8	27-32	19
მეშახტე (ტყიბული)	15	4	2	9	24-27	14
სამეგრელო (ჩხოროწ.)	15	4	2	9	19-38	14
კოდაკო (თბილისი)	15	3	1	11	15-38	10
იმერეთი (ხონი)	15	2	1	12	20-59	7
იბერია (ქარელი)	15	3	1	11	19-39	5
საპოვნელა (თერჯ.)	15	1	0	14	14-52	3

საფეხბურთო აქციები არასოდეს ყოფილა ასე მაღალი

ბრიტანულმა ფეხბურთმა შეიძლება გარკვეულწილად დაკარგა პიონერული როლი, მაგრამ ბიზნესისა და კაპიტალდაბანდების სფეროში ის დანარჩენი მსოფლიოსთვის სამაგალითოა. მაინც რატომ მოხდა, რომ ის ინვესტორები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ ერთობ ფრთხილობდნენ საფეხბურთო კლუბებში ფულის ჩადებას, დღეს ასე „შეყვარებულნი“ არიან ამ თამაშზე? და რამდენ ხანს შეუძლია გაძლოს ამ „სიყვარულმა“?

ერთის მხრივ ეს უბრალოდ აიხსნება — ბრიტანული კლუბების უეცარი ალზევების სააქციო ბირჟაზე მთავარი ფაქტორია ის, რომ მათ ამისათვის სჭირდებოდათ დიდძალი ფული. ფულისთვის კი ინვესტორები, რომლებიც თანახმა იყვნენ გადაეცათ კლუბებისთვის დიდი თანხა, რომლის საპასუხოდ ისინი გახდებოდნენ კლუბების მეწილეები. იმიტომ, რომ ამ ინვესტორებს სჯეროდათ ბრიტანული ფეხბურთის (ფინანსური თვალსაზრისით) მომგებიანი მომავლის (ეს ყველაფერი ერთი შეხედვით მარტივად გამოიყურება). თუმცა 90-იანი წლების დასაწყისშიც ინვესტორებს ფეხბურთისგან თავი შორს ეჭირათ, მათ არ სჯეროდათ კლუბების საქმეების წარმმართველების, ვინაიდან საფეხბურთო ბიზნესი არ იყო მომგებიანი — კლუბები თავიანთი ფულის უდიდეს ნაწილს ფეხბურთელების ყიდვას ახმარდნენ, რასაც იშვიათად მოჰქონდა მოგება. თანაც ფეხბურთს მაშინ ცუდი იმიჯი ჰქონდა, რაც გამოწვეული იყო ფანების გაუთავებელი ხულიგნობით და იმ არასასიამოვნო მოვლენებით, რაც ინგლისის გარდა სხვა ქვეყნების სტადიონებზეც სუფევდა.

მაგრამ ფორტუნამ მას შემდეგ იბრუნა პირი ფეხბურთისკენ, როცა ინგლისის ეროვნულმა ნაკრებმა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიაში ნახევარფინალამდე მიაღწია. ამ წარმატებამ გამოაცოცხლა ინტერესი ამ თამაშის მიმართ და მალე ინგლისში შეიქნა ელიტარული პრემიერლიგა (Premiere League). ამით ფეხბურთმა სპონსორები მიიზიდა და რაც მთავარია, საბოლოოდ განაპირობა მომგებიანი გარიგება Sky-ის ტელეკომპანიასთან. სტადიონები მოდურად გადაკეთდა, მოევლო ხულიგნობის პრობლემას და ბევრმა გულშემატკივარმაც იბრუნა პირი ფეხბურთისკენ. ამის შემდეგ ბრიტანული საკლუბო ფეხბურთი დღითიდღე ძლიერდებოდა, რასაც ძალიან უწყობდა ხელს უცხოელი ვარსკვლავების მოზღვავება რუუდ გულიტიდან ჟუნინომდე. შემოსავალი მოდიოდა ტელევიზიიდან და სასაქონლო ვაჭრობიდან. ეს იყო აშკარა შესამჩნევი ბუმი, რომელიც იპყრობდა ინვესტორთა ყურადღებას: ისინი მიხვდნენ, რომ დიდი საფეხბურთო კლუბები საკმაოდ კარგი წარმატებული ბიზნესის საშუალებას წარმოადგენდნენ. კლუბების და ინვესტორების უმრავლესობამ გაითავისა, რომ თანამშრომლობა კლუბებსა და სააქციო ბაზარს შორის ორივე მხარისთვის მომგებიანი გახლდათ.

1977 წლის გაზაფხულზე ინვესტორთა ინტერესი ფეხბურთის მიმართ შენელდა. მას შემდეგ, რაც 1996 წელს საფეხბურთო კლუბების აქციების ფასები გაორმაგდა და ზოგ შემთხვევაში გასამმაგდა, ორი თვის განმავლობაში სამჯერ დაეცა. ამან, რასაკვირველია, ინვესტორებს იმედი გაუცრუა. განსაკუთრებით კი ფასიანმა ტელეარხებმა, რომელთაც მომდევნო ორ წელიწადში ბრიტანულ ფეხბურთთან თანამშრომლობა მართებდათ.

ზოგიერთი ძვირადღირებული კლუბი ცუდ თამაშს აჩვენებდა და ინვესტორებმაც დაიწყეს ამ კლუბების აქციების გაყიდვა. ეს განსაკუთრებით იმ კლუბებს შეეხო, რომლებიც პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძოდნენ. მთავარი რისკი ფეხბურთის ინვესტორების შემდეგში მდგომარეობს: აქციების რაოდენობა და ფასები მჭიდროდაა დაკავშირებული გუნდის თამაშზე (განსაკუთრებით საფეხბურთო სეზონის მოახლოებისას). აქციონერებს არ შეუძლიათ მისცენ კლუბებს იმის გარანტია, რომ კლუბების აქციებზე დაიხარჯა ფული ბრძნულად სააქციო ბაზარზე. ანუ ის, რომ კლუბის აქციები ბირჟაზე ძვირად შეფასდება. აგრეთვე თუ დიდი თანხა დაიხარჯა ფეხბურთელების შესაძენად და მათი ხელფასების გასაცემად და ეს ფეხბურთელები ვერ ამართლებენ იმედებს, მაშინ ინვესტირება, ფაქტობრივად, ფულის ფუჭი ხარჯვა გამოდის. მაგრამ თვით კლუბებისთვის კარგია სააქციო ბირჟაზე ყოფნა? საერთოდ კლუბების ბირჟაზე ჩართვა პოზიტიურია, რადგან ეს უფლებას აძლევს მათ დააგროვონ დიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, წინსვლა ვერ განხორციელდება. ასეთ შემთხვევაში კლუბისთვის მკაცრი მოთხოვნაა, რომ საჯაროდ წარადგინოს თავისი ფინანსური პატაკი, თუ არადა, კლუბის იმიჯსა და რეპუტაციას ძალზე დიდი ჩრდილი მიადგება. აგრეთვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კლუბის გულშემატკივრებსაც შეუძლიათ აქციების შესყიდვა, რითაც ფაქტიურად ფსონს დებენ საყვარელ გუნდზე. ასე რომ, ზოგიერთ ფანს ტოტალიზატორზე თამაშს ურჩევნია საყვარელი გუნდის აქციები შეიძინოს, რადგან თუ გუნდი ვერ შეძლებს წარმატებას, გულშემატკივრის ფული ტოტალიზატორს კი არ დარჩება, არამედ, გუნდს მოხმარდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საბირჟო კოტირება იწვევს პასუხისმგებლობას აქციონერების მიმართ, რათა მათ მიიღონ ჩადებული ფულის უკუგება, რის გამოც, ხშირად ხდება უთანხმოება აქციონერებსა და კლუბის მხარდამჭერებს შორის. მაგალითად, „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ წინა საფეხბურთო სეზონში დიდი წარმატებით განახორციელა ფინანსური პოლიტიკა, აქციონერებმაც სოლიდური დივიდენდები მიიღეს, მაგრამ თვით გუნდმა დიდ შედეგს ვერ მიაღწია და გულშემატკივრებმაც უკმაყოფილება გამოთქვეს კლუბის მფლობელის, მილიონერ ბიზნესმენ ალან შუგარის მიმართ, აქაოდა, წმინდა საფეხბურთო ასპექტებს ვერ აბამს თავსო. სამაგიეროდ, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოახერხა აქციონერებისა და ფანების გულის მოგება. ამ კლუბის ფინანსური დირექტორი ერთხელ შეეცადა აღეწერა თუ როგორ ცდილობს ორივე მხარის ინტერესების დაკმაყოფილებას — ორი ცხენის უუნაგიროდ გახედვნა ცირკის არენაზე. რამდენ ხანს შეინარჩუნებს ასეთ ბალანსს „მანჩესტერ იუნაიტედი“, ალბათ მალე ვნახავთ, რადგან საფეხბურთო ცხოვრება ერთ ეტაპზე არ იყინება — მოვა დრო და ამ გუნდს უფრო მოკრძალებული წარმატებები ექნება და სწორედ ეს უნდა იქცეს რეალურ ტესტად იმისა, რომ შეუძლია თუ არა თანამშრომლობას კვლავ იარსებოს ბრიტანულ ფეხბურთსა და სააქციო ბაზარს შორის.



„**FIFA MAGAZINE**“-დან თარგმნა
დათო თავართქილაძემ

FRANCE 98
COUPE DU MONDE

უკრაინა – ხორვატია. უკრაინელი კოსოვსკის (წინა პლანზე) მცდელობა – გასცდეს სტუმართა მცველს – ამაოა...

SOY DE
MOLINA
SOY
CHILENO

ჩილელთა მეკარე ტაპიასა და მწვრთნელის ნელსონ აკოსტას სიხარული უსაზღვროა

იაპონელმა ფეხბურთელმა სოჩი ჯომ ირანელებთან მატჩის შემდეგ, აღფრთოვანებულმა აიტაცა მშობლიური ქვეყნის დროშა და ტრიბუნებს შემოურბინა

ვაკანტური ერთი საგზურიღაა

გასულ უქმე დღეებში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის კიდევ 7 მონაწილე ქვეყნის ნაკრები გაირკვა: ევროპის პლეი-ოფებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს ხორვატიამ, იტალიამ, იუგოსლავიამ და ბელგიამ, აზიის ზონიდან – იაპონიამ, კონკაკაფიდან – იამაიკამ, სამხრეთ ამერიკიდან – ჩილემ. ამრიგად, გასარკვევი ერთი ფინალისტიღა დარჩა: აზიის ზონაში დამარცხებული ირანი 22 და 29 ნოემბერს ოკეანეთის გამარჯვებულ ავსტრალიას ეთამაშება. მათ შორის გამარჯვებული საფრანგეთის ბოლო საგზურს დაეუფლება.

ევროპა

უკრაინა – ხორვატია 1-1 (პირველი მატჩი – 0-2). მართალია მასპინძლებმა მატჩის დასაწყისშივე გახსნეს ანგარიში (შევჩენკო), მეორე გოლის გასატანად ხორვატთა კარის შტურმიც წამოიწყეს, მაგრამ „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“ – ერთ-ერთი კონტრშეტევისას ალენ ბოკშიჩმა შორეული დარტყმით მიზანს მიაღწია. საბოლოო წარმატების მისაღწევად უკრაინელებს კიდევ სამი ბურთი უნდა შეეგდოთ მრმიჩის კარში, რაც არარეალური იყო და მასპინძლები მეორე ტაიმში, ფაქტობრივად, ბედს შეურიგდნენ.

იტალია – რუსეთი 1-0 (პირველი მატჩი 1-1). ჩეზარე მალდინიმ თავდასხმაში ტრავმამოუშუშებელი პიერლუიჯი კაზირაგი დააყენა, მანაც მწვრთნელის ნდობა გაამართლა და მეორე ტაიმში ერთადერთი გოლი შეაგდო – დემეტრიო ალბერტინიმ ფორვარდს მოედნის სიღრმიდან მშვენიერი პასი მიაწოდა, კაზირაგის ხელის შეშლა ვიქტორ ონოპკომ სცადა, მაგრამ ამაოდ – იტალიელის საბოლოო დარტყმა უზადო გამოდგა.

იუგოსლავია – უნგრეთი 5-0 (პირველი მატჩი 7-1). უნგრელებს ერთი ამოცანა ამოძრავებდათ – არ წაეგოთ დიდი ანგარიშით. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები პრაქტიკულად მთელი გუნდით იცავდნენ კარს, გოლები ბევრი გაუშვეს. მატჩის გმირი პრედრაგ მიატოვიჩი გამოდგა – მან ოთხჯერ აიღო ბაბოშის კარი, ერთხელაც სავო მილოშევიჩმა.

ბელგია – ირლანდია 2-1 (პირველი მატჩი 1-1). ნამდვილად არ შევმცდარვათ, როდესაც „ლელოს“ წინა ნომერში ვივარაუდეთ ბელგიელთა წარმატება. მასპინძლები პირველ ტაიმში ფიორენტინელმა ლუის ოლივეირამ დააწინაურა. ირლანდიელებმა შესვენების შემდეგ, ანგარიში გაათანაბრეს (რეი ჰაფტონი), მაგრამ მალე ლუკ ნილისის გოლმა ბელგიელებს საფრანგეთის საგზური მოაპოვებინა.

აზია

იაპონია – ირანი 3-2. მატჩის ძირითადი დრო ფრედ – 2-2 დამთავრდა, მაგრამ დამატებით დროში ამომავალი მზის ქვეყნის ფეხბურთელებს „მეორე სუნთქვა“ გაეხსნათ და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. ირანელთა კარში „ოქროს გოლის“ ავტორი ოკანო გახდა. იაპონელებმა ისტორიაში პირველად მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება.

კონკაკაფი

აშშ – სალვადორი 4-2, კოსტარიკა – კანადა 3-1, იამაიკა – მექსიკა 0-0. ამ ფრეს წყალობით იამაიკელები საფრანგეთს გაემგზავრებიან.

სამხრეთ ამერიკა

ურუგვაი – ეკვადორი 5-3, პერუ – პარაგვაი 1-0, ჩილე – ბოლივია 3-0. ამ გამარჯვებამ (გოლები გაიტანეს ბარერამ, სალასმა, კარენომ) ჩილელებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობა არგუნა.

ბოშკოვმა მენოტი შეცვალა

გასულ კვირას შეგატყობინეთ, „სამპდორიას“ არგენტინელმა მწვრთნელმა ლუის მენოტიმ, იმ საბაბით, რომ კლუბის მეპატრონეებმა უარი უთხრეს შეეძინათ ორი ახალი ფეხბურთელი, გადადგომა გადაწყვიტა. თითქოს ამას ელოდნენო, „სამპდორიას“ ხელმძღვანელებმა უმალ ბელგრადს მიაშურეს და მწვრთნელობა შესთავაზეს ცნობილ იუგოსლაველ სპეციალისტს ***ვუიადინ ბოშკოვს.***

იტალიური გაზეთების ცნობით, გენუელებს 66 წლის ბოშკოვის მოწვევა 415 ათასი დოლარი დაუჯდათ. იგი ადრეც, „სამპდორიას“ „ოქროს ხანაში“ (1986-92 წლები) თავკაცობდა გუნდს. სწორედ ამ პერიოდში მოიპოვეს გენუელებმა თავის ისტორიაში ერთადერთი ქვეყნის ჩემპიონის ტიტული (სკუდეტო), იტალიის ორი და ერთიც ევროპის ქვეყნების თასების თასი.

კვირას საღამოს გენუაში ჩასულ ბოშკოვს ჟურნალისტებმა მოსვენება არ მისცეს – რას იტყვი, ბებერი ხარო? „წავიკითხე, მენოტის უთქვამს, გუნდი ძლიერი მოთამაშეებით არაა დაკომპლექტებულიო. ეს არ შეეფერება სინამდვილეს. მე ახალი სახელები არ მჭირდება. ვინც ამჟამად გუნდშია, ყველამ თვალებში ერთმანეთს შეხედოს და მიხვდეს, რომ თავადაა ძლიერი. მე მათ საკუთარი ნიჭის აღმოჩენაში დავეხმარები“ — თქვა იუგოსლაველმა მწვრთნელმა.

„ტრაპატონი, რა დაგიშავეთ?“

ასე ამბობენ გენუელი გულშემატკივრები, როცა „სამპდორიაში“ იურგენ კლინსმანის სრულიად უნიათო თამაშს ადევნებენ თვალს. ერთი სიტყვით, ისინი ადანაშაულებენ მიუნხენის „ბაიერნის“ იტალიელ მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის, რომელმაც ნებსით თუ უნებლიედ, თავის თანამემამულეებს ასეთი „ცუდი საქონელი“ შესთავაზა.

ირანელების ბრაზილიელი მწვრთნელი

ირანის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობიდან გაათავისუფლა მოჰამედ მაიელი-კოხანი და მას ორი თანაშემწეც მიაყოლა. ამის მიზეზია ნაკრების არადამაკმაყოფილებელი თამაში მსოფლიო პირველობის შერჩევითი ტურნირის აზიურ ზონაში.

ახლა ირანის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ბრაზილიელი ვალდირ ვიეირა, რომელიც ამავე ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობდა.

იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა

ფავორიტებს „მილანიც“ დაემატება?

წინა ჩემპიონატთან შედარებით, იტალიის პირველობაზე რაიმე განსაკუთრებული მოულოდნელობა არ მომხდარა, ადრინდელი ფავორიტები ფავორიტებად რჩებიან, ამასთან, მათ სულ მალე შეიძლება დაემატოს თითქმის „ჩამოწერილი“ „მილანი“ — კაპელო კაპელოდ რჩება და თუმცა ჟურნალისტებს ხშირად შესჩიოდა, უახლოეს მომავალში მდგომარეობის გამოსწორების იმედი არა მაქვსო, ბოლო ორი შეხვედრის მოგებით უკვე საკმაოდ დაწინაურდა სატურნირო ცხრილში. მხედველობაში გვაქვს ჯერ მეშვიდე ტურში სტუმრად გენუის „სამპდორიის“ დამარცხება — 3-0 (აქ ორჯერ გამოიჩინა თავი ვეამ), ხოლო შემდეგ „ბრეშიასთან“ მოგებაც (2-1. ორივე გოლი ლეონარდომ გაიტანა). ეს თავისებურად „ისტორიული შეხვედრა“ იყო — თურმე ნუ იტყვით, ნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „მილანმა“ საკუთარ „სანსიროზე“ უკანასკნელად გაიმარჯვა. ნეგატიური რეკორდიც ამას ჰქვია. როგორც იტალიელი კომენტატორები აღნიშნავენ, თანდათანობით „იმაღლებენ ხმას“. „მილანის“ ახალი ლეგიონერები, განსაკუთრებით კი ბრაზილიელი ლეონარდო და საფრანგეთის ნაკრების წევრი იბრაჰიმ ბა.

ჯერჯერობით კი ბრძოლა ლიდერობისათვის მილანის „ინტერსა“ და ჩემპიონ „იუვენტუსს“ შორის მიმდინარეობს. „ინტერისათვის“, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მესამე ადგილზე მყოფ „პარმას“ დამარცხებას — 1-0, მომდევნო გასვლით მატჩში კი, რომელიც ლიდერმა კვლავ მოიგო (2-1) ბერგამოში. „ატალანტასთან“ საკლუბო რეკორდი დაამყარა „ინტერის“ კაპიტანმა უბერებელმა ჯუზეპე ბერგომიმ. მან „სერია A-ში უკვე 476-ე მატჩი ჩაატარა. კიდევ ერთი საინტერესო რამ: ამ სეზონში „ინტერმა“ უკვე 8 მატჩი ითამაშა სხვის მინდორზე: 4 — ჩემპიონატში, 2 — ქვეყნის თასზე და 2 — უეფას თასზე („ქსამაქსსა“ და „ლიონთან“) და ყველა მოიგო! თანდათან ჩვეული ძალით თამაშობს რონალდო, რომელმაც 6 გოლი გაიტანა და „სერია A“-ს უპირველესი სნაიპერის ჯილდოს რეალური პრეტენდენტი იქნება.

ამ ზაფხულს „იუვენტუსი“ რამდენიმე ცნობილმა ოსტატმა დატოვა, მაგრამ ეს ჩემპიონის თამაშს ნაკლებად დაეტყო. „პარმას“ ბოლო მატჩში არა ჰყავდა ნაკრების თავდამსხმელი ენრიკო კიეზა, რომელსაც დისკვალიფიკაცია ჰქონდა, მაგრამ „ემპოლისთან“ (2-0) თავი ისახელა დებიუტანტმა, მსოფლიოს ახალგაზრდათა უკანასკნელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, ბრაზილიელმა ადაილტონმა, რომელმაც ახალ გუნდში პირველი გოლი გაიტანა. მეტად თავისებური მდგომარეობაა რომის „ლაციოში“, რომელსაც ამ სეზონში სათავეში ჩაუდგა გენუის „სამპდორიიდან“ გადასული ცნობილი შვედი სპეციალისტი სვენ-გორან ერიკსონი. საქმე ის არის, რომ გუნდის განთქმულ თავდამსხმელებს პიერლუიჯი კაზირაგისა და ჯუზეპე სენიორის წლეულს დაემატნენ ალან ბოკშიჩი („იუვენტუსიდან“) და რობერტო მანჩინი („სამპდორიიდან“). ასეთი არჩევანი თავდასხმაში იტალიის კი არა, შეიძლება ევროპის არც ერთ წამყვან კლუბს არა აქვს. ამასთან, ოთხივეს საბრძოლო მზადყოფნა ძალიან მაღალია და მწვრთნელმა შეიძლება ითქვას, აღარც იცის, რა მოიმოქმედოს. კაზირაგი შესანიშნავად თამაშობს, მაგრამ ასე გასინჯეთ, 33 წლის მანჩინი — კიდევ უკეთესად. ზოგი კომენტატორი მეტსაც კი ამტკიცებს — მანჩინის ასე კარგად არასოდეს უთამაშია (მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა უნდა!). ბოკშიჩი და სენიორი კი, რა კარგადაც არ უნდა თამაშობდნენ, ახლა ძირითადად მხოლოდ შეცვლაზე გამოდიან. სტარტზე რამდენიმე წაფორხიალების შემდეგ ახლა „ლაციო“ თამაშს თამაშზე იგებს, და, თუ მის უძლიერეს შემადგენლობას გავითვალისწინებთ, შეიძლება თანდათან ჩემპიონობისათვის ბრძოლაშიც ჩაერიოს. თავდასხმის გარდა გუნდის სხვა ხაზებიც ძალიან კარგადაა დაკომპლექტებული: საიმედოდ მოქმედებს გამოცდილი მეკარე ლუკა მარკეჯანი, დაცვაში — ნაკრების წევრები დიეგო ფუზერი და ალესანდრო ნესტა, შუახაზზე — ჩინებული ჩეხი ოსტატი პაველ ნედვედი, „ლაციოს“ ძალაზე ისიც მეტყველებს, თუ როგორ იოლად გაუსწორდა იგი უეფას თასზე ვოლგოგრადის „როტორს“.

კიდევ ერთი კლუბი იპყრობს ყურადღებას — გენუის „სამპდორია“. მას ჯერჯერობით კარგი არაფერი ეტყობა. გუნდის მარცხში ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ ახლა კლინსმანი ითვლება, რომლის თამაში მეტად გაუფერულდა. გასაგებია, როგორი თავსატეხი გაუჩნდა გერმანიის ნაკრების მწვრთნელ ბერტი ფოგტსს და კიდევ ერთი რამ, მართალია, „ბოლონია“ ახლა რაიმე წარმატებას ვერ დაიკვეხნის, მაგრამ „მილანში“ გატარებული უფერული სეზონების შემდეგ ახლა ჩინებულად თამაშობს რობერტო ბაჯო. 8 ტურში მან უკვე გაიტანა 7 გოლი, და გასაგებია, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი ამოძრავებს.

8 ტურის შემდეგ „ინტერმა“ 22 ქულა მოაგროვა, „იუვენტუსმა“ — 20, „პარმამ“ — 17.

ძალიან საინტერესო მეცხრე ტური, სადაც შედგება „მილანური დერბი“ — მასპინძლად „ინტერი“ ითვლება, ხოლო „იუვენტუსი“ „პარმას“ მიიღებს.

ბიძი თორელი

კაპელოს ახალი სიმპათია

მას შემდეგ, რაც „მილანმა“ ლეონარდოს ორი გოლის წყალობით „ბრეშია“ დაამარცხა, ეს ბრაზილიელი ნახევარმცველი მყისვე იქცა მილანელ ტიფოზთა ნამდვილ კერპად. „ლეო, ჩვენ ახლა მხოლოდ წინსვლა გვჭირდება და შენთან ერთად ველარავინ შეგვაჩერებს“ – აი, თითქმის ამ სიტყვებით მიმართავდნენ „მილანის“ ფანები ლეონარდოს „მილანი“ – „ბეშიას“ მატჩის შემდეგ. რა თქმა უნდა, იტალიურ პრესაშიც მისი სახელი ერთობ ამოტივტივდა, თუმცა ლეონარდოს მოხელთება იტალიელმა ჟურნალისტებმა ვერ მოახერხეს, (როგორც ამას გაზეთი "La GAZZETTA SPORTIVA" იუწყება) და მის შესახებ გუნდის თავკაცს ფაბიო კაპელოს მიმართეს. გთავაზობთ ნაწყვეტს ინტერვიუდან, რომელიც "La GAZZETTA SPORTIVA"-ში გამოქვეყნდა.

● ***როცა თქვენმა გუნდმა „ბრეშიას“ მოუგო, „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ კაპელოს ბიჭები ყოჩაღები არიან და ნამდვილად შესწევთ ძალა მეორე ადგილზე („ინტერის“ შემდეგ) გასვლისთვისო. მოგწონთ მისი კომპლიმენტი?***

– ოჰ, ეს მართლაც ძალიან კარგი იქნება თუ გაისად ჩემპიონთა ლიგაში ვიასპარეზებთ, თანაც თუ ამის გარანტიას მასიმო მორეტი გვაძლევს – წინასწარმეტყველებს დიდ პატივს ვცემ.

● ***როგორც ჩანს, „მილანმა“ ლეონარდოს გადმობირებით სწორი ნაბიჯი გადადგა...***

– პირადად მე დიდად ვიყავი დაინტერესებული მისი „მილანში“ გადმოსვლით. სეზონის წინ ლეონარდოს შესახებ მქონდა საუბრები კლუბის ხელმძღვანელობასთან. მადლობას ვუხდი მათ, რომ ჩემი აზრიც გაიზიარეს და ლეონარდოს გადმობირებისთვის ძალისხმევა არ დაიშურეს.

● ***ახლა კი ალბათ თქვენც ძალიან ბევრს მოელით მისგან...***

– ასეთი მომენტი მაშინ დგება, როცა ფეხბურთელს ჯერ ვარჯიშზე დააკვირდები თუ როგორ ირჯება და მერე მატჩებში გამოცდი. რა თქმა უნდა, მას, როგორც ფეხბურთელს, ადრეც კარგად ვიცნობდი, ხოლო, ახლა კი შემიძლია განვაცხადო, რომ როგორც ერთ დროს სავიჩევიჩის დარად, ლეონარდოც ჩემი ფავორიტია.

ლეონარდო

დათო თავართქილაძე

ჭადრაკის ამბები

ბელგრადის სუპერტურნირი

10 დიდოსტატი იბრძვის ბელგრადის ტრადიციულ სუპერტურნირში, რომელიც თავისებური რეპეტიციაა „ნოკაუტ-სისტემით" მსოფლიო ჩემპიონატის წინ (იწყება 8 დეკემბერს გრონინგენში).

შეჯიბრებაში მონაწილეობენ ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, მეორე მსოფლიო „რანგ-ლისტში"). ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, მესამე მსოფლიო „რანგ-ლისტში"), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, მეექვსე), ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია, მერვე), ალექსეი შიროვი (ესპანეთი, მეცხრე), ბორის გელფანდი (ბელარუსი, მეათე), აგრეთვე, კირილ გეორგიევი (ბულგარეთი), ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი), მასპინძლები: ლიუბომირ ლიუბოევიჩი და ვლადიმირ კოვაჩევიჩი.

ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი

აქამდე მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატად ფრანგი ეტიენ ბაკრო ითვლებოდა, რომელმაც ეს წოდება 14 წლისა და 2 თვისამ მოიპოვა. ახლა ეს თავისებური რეკორდი მოხსნილია. დიდოსტატი გახდა უკრაინის ქალაქ კრამატორსკელი რუსლან პონომარიოვი – 14 წლისა და 17 დღის. მან კიევში გამართულ ფიდეს მეცხრე კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში 13 შესაძლებლიდან 10,5 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა.

პონომარიოვი, ასეთი ასაკის მიუხედავად, მსოფლიო ჩემპიონია 18 წლამდე ჭაბუკებს შორის.

სპეციალური სტიპენდია დააწესა

მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ინგლისში დააწესა სპეციალური სტიპენდია ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკეებისათვის, რომლებიც ისწავლიან ამ ქვეყანაში არსებულ ერთადერთ სპეციალიზებულ კოლეჯში, ქ. ოუკემში.

როგორც გარი კასპაროვის პრეს-სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, ამ სტიპენდიის დაწესების მიზანია მთელი მსოფლიოს ახალგაზრდა ინტელექტუალებს გზა გაუკაფოს დიდ ჭადრაკში.

დინორი კერესელიძე



ნიჭიერი ტანმოვარჯიშე იყო. განსაკუთრებით მოხდენილად და ლამაზად რგოლებზე ვარჯიშობდა. მწვრთნელი სიმონ ბალუაშვილი უქებდა 18 წლის ჭაბუკს მონდომებასა და შემართებას. იგრძნობოდა მისი პირველი მწვრთნელის, დიდებული სპეციალისტის ნოდარ ბახუტაშვილის ხელწერა. რეზო შარაბიძესთან, ოთარ ქორქიასთან, ტარიელ კეზელთან ერთად აიდგა ფეხი ტანვარჯიშში. ვორონცოვზე ცხოვრობდა, საკმაოდ ხელმოკლედ.

ახალგაზრდობიდან ოჯახის შენახვაზე ფიქრობდა — მამა ხომ ადრე გარდაეცვალა. ტანვარჯიშისათვის სულ უფრო ნაკლები დრო რჩებოდა. ბოლოს სახელმოხვეჭილ ტანმოვარჯიშეს ალექსანდრე ჯორჯაძესთან სცადა ბედი დიდ ტანვარჯიშში გასასვლელად, თუმცა უკვე გვიან იყო — დინორს იმხანად 27 წელიწადი შეუსრულდა. მისი მეგობრები უკვე საქართველოს ჩემპიონები გახდნენ და საკავშირო პირველობებშიც გამოდიოდნენ.

ფიზკულტურის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ამბროლაურში დაიწყო მუშაობა საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად. სამი წელიწადი იმუშავა. მერე კვლავ თბილისშია — ბავშვთა მიმღებ-გამანაწილებელში ფიზიკური კულტურის მასწავლებლად.

1954 წელს შევიდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, პარალელურად მუშაობდა თბილისის №1 დამხმარე სკოლა-ინტერნატში მასწავლებლად, სადაც უკანასკნელ დღემდე დაჰყო.

ვინც დინორ კერესელიძეს ახლოს იცნობდა, ყველა უაღრესად კეთილ, გულისხმიერ, საქმიან ადამიანად ახასიათებდა. მეგობრისათვის მზად იყო ყველაფერი ეღონა, სხვის საქმეს თავისაზე მაღლა აყენებდა მუდამ. არავის ყოფილა მისი მომდურავი.

ნიჭიერი ტანმოვარჯიშე იყო. სამწუხაროდ, ცხოვრების ბედუკუღმართობამ საშუალება არ მისცა ახდენოდა ბავშვობის საწადელი — საყვარელ ტანვარჯიშში ჩემპიონი გამხდარიყო.

საქართველოს განათლების
სამინისტროს ფიზიკური აღზრდის
სამმართველო,
რესპუბლიკის ტანვარჯიშის
ფედერაცია

„სპორტლოტოს" შედეგები

16 ნოემბერს გაიმართა ლატარია „სპორტლოტო 5-36"-დან გათამაშების 46-ე ტირაჟი, დაშვებული იყო 4941 ვარიანტი.

მოგებახვედრილი ციფრები:

12, 17, 8, 30, 20.

5 ციფრი ვერავინ ამოიცნო. 4 ციფრის ამოცნობისათვის (2 ვარიანტი) — 92.60 ლარი. 3 ციფრისათვის (69 ვარიანტი) — 3.60 ლარი. მოგებები განაღდება 19 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით.

მორიგი, 47-ე ტირაჟისათვის, რომელიც გაიმართება 23 ნოემბერს, „ჯეკ-პოტი" შეადგენს 5230 ლარს, ამასთან ერთად გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა.

გიწვევთ ტრადიციული სპორტული ლატარიების გათამაშებაში.

წარმატება მხოლოდ თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული.

საქართველოს სპორტის
ეროვნული ფონდი

ჩიგორინის მემორიალი

სანკტ-პეტერბურგში ჩატარდა მიხაილ ჩიგორინის მემორიალი, რომლის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი იყო. შეჯიბრება მიმდინარეობდა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად.

7,5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა ახალგაზრდა პეტერბურგელი დიდოსტატი კონსტანტინ საკაევი. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩნენ და მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს კარენ ასრიანმა (სომხეთი), მიხაილ ბროდსკიმ (უკრაინა), სერგეი ზაგრებალნიმ (უზბეკეთი), აგრეთვე რუსეთის წარმომადგენლებმა ვლადიმირ ბურმაკინმა, ილდარ იბრაჰიმოვმა, ევგენი სვეშნიკოვმა და სერგეი შიპოვმა.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი (თბილისი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა: 1. მფb3? h3!, და თეთრები ცუგცვანგში არიან. სწორია 1. მფb2! h3 2. ...მფb3 ახლა ცუგცვანგი შავებისთვისაა: 2. ...მფ:b8 3. კc6, 2. ...c6 3. ეb6+ და 2. ...მფ:a6 3. კc8+, 1. ...მფ:a6 2. კc8+ მფ:a5 3. კ:c7+ მფ:a4 4. კd7+.

თარაზულად: 1. ქალაქი, სადაც შედგა ქართული ფეხბურთის ტრიუმფი, 3. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 5. წარსულში გამოჩენილი ამერიკელი მოცურავე, 11-12. „ბარსელონას" და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 16-18. სპორტული ინვენტარი, 21. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 37. წარსულში გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 46. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 48. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 50. გერმანელი ჩოგბურთელი ვაჟი, 54. „ბაიერნის" ფეხბურთელი, 55. ინგლისელი ავტომრბოლი, 58. ინდოელი დიდოსტატი, 60. 70-იანი წლების არგენტინის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 62. ბეტისის ფეხბურთელი, 70. ხორვატი ჩოგბურთელი ვაჟი, 88-90. „მილანის" ფეხბურთელი ახლო წარსულში, თავდამსხმელი, 93. ისრაელის საკალათბურთო კლუბი, 99-100 „იუვენტუსის" ფეხბურთელი. 102. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 104. უნგრეთის „დიდი გუნდის" კაპიტანი, 106. ქართველი მოჭიდავე **(ფოტო)**

შვეულად: 2. ზაფხულის IV და XIII ოლიმპიადების მასპინძელი ქალაქი, 3. რუმინელი მძლეოსანი ქალი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, 4-24. იტალიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 6-29. ქართული საფეხბურთო კლუბი, 7. ჩვენი ფეხბურთელების მეტოქე ქვეყანა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, 8. წარსულში ცნობილი არგენტინელი ავტომრბოლი, 9. ქართველი კალათბურთელი **(ფოტო)** 34. „კაიზერ ფრანცი", 37. საქართველოს ნაკრების კალათბურთელი, 38. ახლო წარსულში გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 41. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 42-64. შვედი მოჭადრაკე ქალი, 45-67. 70-80-იანი წლების თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 46. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 47. 60-70-იანი წლების ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 75. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა, 78. „ბაიერნის" ფეხბურთელი, 79. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი, 80. „პორტუს" ბრაზილიელი ფეხბურთელი, 83. სპორტული შეჯიბრების ჩატარების ფორმა, 86. იტალიელი ფეხბურთელი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 87. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში **(ფოტო)**

დიაგონალურად: 16-4. გერმანელი ჩოგბურთელი ვაჟი, 32-14. გერმანელი ჩოგბურთელი ქალი, 36-19. ჩეხი ჩოგბურთელი ვაჟი, 43-25. სწრაფი თამაში ჭადრაკში, 49-26. ბულგარელი ფეხბურთელი, მცველი, 17-46. ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მარჯვენა გარემარბი ფეხბურთელი, 10-30. ქართული საფეხბურთო კლუბი, 31-13. იტალიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 27-51. არგენტინელი ფეხბურთელი, „ოქროს ბუცის" მფლობელი, 28-44. შვედი ჩოგბურთელი ვაჟი, 20.39. „სამეფო კლუბი", 15-33. 80-90-იანი წლების ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 6-23. „ეინდჰოვენის" ფეხბურთელი, 35-52. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მცველი, 68-56. არჩილ არველაძის საფეხბურთო კლუბი, 46-63. „იუვენტუსის" ფეხბურთელი, 62-47. კოლუმბიის საფეხბურთო კლუბი, 53-40. გამოჩენილი კანადელი ჰოკეისტი, 57-42. „ჩელსის" იტალიელი ფეხბურთელი, 47-22. სომხეთის საფეხბურთო კლუბი, 63-94. პარაგვაის საფეხბურთო კლუბი, 89-62. გამოჩენილი რუსი მოციგურავე ქალი, მრავალგზის მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 59-82. საჭადრაკო პარტიის დასაწყისი, 65-81. ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა გარემარბი ფეხბურთელი, 69-91. მძლეოსნური სატყორცნი იარაღი, 73-96. ცურვის სტილი, 88-103. ქართველი მწვრთნელი ფარიკაობაში, 98-76. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 77-101. ფრანგი ავტომრბოლი, 85-66. ნბა-ს ვარსკვლავი, 92-71. გერმანელი ფეხბურთელი **(ფოტო)**, 97-74. სპორტის სახეობა, 105-95. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 84-61. ჭადრაკის ფიგურა.

შეადგინა
ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)



106



9



87



88-103



92-71



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 6-10. არახამია, 12-16. ზატოპეკი, 20-21. არტური, 22-25. ვიალი, 26-27. „სლავია", 30-31. „ჩელსი", 32-33, „მალმე", 36-37. არბიტრი, 38-40. ფეოლა. 41-42. „ტორნადო", 51-52. კანოე, 53-54. ამარალი, 55-56. ნურმი, 57-58. ბორგი, 60-61. ბენკო, 62-63. რაიტი, 65-66. შორტი, 69-70. რაპირა, 73-74. შამონი, 77-78. პელე, 82-83. კიეზა, 87-88. ლიპი, 90-91. „არაუ", 92-94. მასარო, 95-97. ილიადი, 98-99. ძოლა, 101-104. ადემირი, 106-109. „ოლიმპია", 110-111. ქიში, 112-114. კაჭარავა, 116-118. აზარიანი, 119-120. კანუ, 121-123. მორბენალი, 125-126. ილინი, 128-130. „ესპანიოლი", 131-132. „ნაპოლი", 134-135. ენდო, 136-137. პაპი, 139-140. დირსეუ, 143-145. ბეილი, 149-152. ლარსენი, 153-155. ბორზოვი, 156-159. მაჩაიძე, 162-165. სიმეონი, 166-169. მანჩინი, 171-173. კაისა, 174-175. ლაგუტინი, 176-177. აკრობატი, 178-180. რურუა, 182-183. ორი, 185-186. ნოა, 188-189. რაი, 191-192. კორტი, 193-194. დანია, 196-200. ჩიქვანაია, 204-205. გერსონი, 206-207. კონორსი, 208-209. პლატინი, 220-224. პლატი, 235-236. „როდა", 237-238. ლუკე, 241-243. კურიე, 244-246. „მაკაბი", 247-249. პარიზი, 250-252. რაული, 254-255. ესნაიდერი, 258-259. კლინსმანი, 261-263. კორდა, 264-265. „ოლიმპიაკოსი", 266-268. ფინტი, 269-270. ჩანგი, 271-272. ინსი, 273-274. რომი, 275-276. ამორო, 278-281. ქაირზინიო, 282-284. ვეა, 285-288. „აინტრახტი".

შვეულად: 89-148. შარმახი, 100-160. გალიეგო, 161-212. სკილაჩი, 170-232. პაიჭაძე, 3-68. მაკინროი, 19-75. კაპრიატი, 141-202. პასარელა, 147-211. პრიუდომი, 213-277. სკუტერი, 231-289. კალგარი, 4-43. ბრემე, 18-49. ვიერი, 172-203. იპონი, 179-210. რაგბი, 1-28. კატო, 2-35. რივა, 195-242. აგასი, 201-251. შირეა, 29-103. რაიციგერი, 34-107. ჩოჩიშვილი, 181-234. კოლერი, 190-239. ბიონდი, 164-215. ნასტასე, 167-229. ატლანტა, 142-217. ინდურაინი, 146-227. კარბახალი, 80-124. „ოსერი", 85-127. ბადრო, 9-53. მოლინა, 13-54. ტალტსი, 81-113. ვავა, 84-117. მილა, 153-197. ბლინდი, 155-199. იურანი, 219-280. კაბრინი, 225-286. სლალომი, 82-125. კრივი, 83-126. ალეზი, 45-94. ფანხიო, 47-95. ბარეზი, 114-175. ალბერტი, 116-176. ანგლომა, 221-256. ლოკო, 223-257. ტური, 11-39. ბაჯო, 46-105. ბრუმელი, 115-144. კილი, 154-198. ზამორა, 222-283. ამუნიკე.

დიაგონალურად: 67-7. ჟორდანია, 15-76. ესპოზიტო, 5-71. კრაიჩეკი, 72-17. რავანელი, 50-8. „ციბონა", 14-56. „ოსკარი", 102-59. დუნგა, 64-108. დვირი, 101-58. ათენი, 65-109. შელია, 79-23. საბონისი, 24-86. ლატინინა, 69-135. რომარიო, 136-74. პორტიში, 102-165. დიბიასი, 166-108. მალდინი, 162-93. სიჭინავა, 96-169. დონადონი, 50-93. ცაავა, 96-56. დანდი, 163-218. მარტინი, 226-168. ალდაირი, 162-216. სიმოესი, 228-169. სტაიერი, 133-198. კონსილია, 198-138. აკერმანი, 184-248. ნოვოტნა, 245-187. „ბოლონია", 204-264. „გრემიო". 265-209. ისინდი, 151-114. ნოდია, 116-157. აიალა, 202-279. „არსენალი", 287-211. ტაფარელი, 269-216. ჩოსიჩი, 228-276. „სკონტო", 233-262. სუმო, 267-240. ტალი, 149-122. ლამა, 129-159. პიკე, 150-123. როსი, 128-158. ეტლი, 253-214 „პუმა", 230-260. რალი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე